ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 20 აპრილი, 2022 | №78 (8856) | ფასი: 80 თეთრი

დიდი ოდენობით სხვისი ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ორი პირი დააკავეს

გვ.5

გვ.5

წყნეთში პოლიციელ ერიკ წურწუმიას 30 წლის ზურაბ გველესიანი შემოაკვდა

„დიდი განსაცდელის წინაშე ვდგავართ, სააკაშვილის თემა აღარაა მნიშვნელოვანი“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „სახელმწიფო ინტერესზე არც ნაცები ფიქრობენ და არც ქოცები“

„გიორგი მარგველაშვილს თავისი პოზიციის გამო არ ვაკრიტიკებ“

გვ.3

„ჩვენც ჯახირ-ჯახირ მივყვებით უკრაინის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ“

დავით ბერძენიშვილი: „რუსეთის იმპერია ამჟამად უფრო მაგრად დაინგრევა, ვიდრე ეს იყო 1918 თუ 1990 წელს“

„ქვეყანაში ერთპარტიული კი არა, ერთი კაცის მმართველობაა“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „აუცილებლად გამოვა ხალხი ქუჩაში და გააპროტესტებს არსებულ უმძიმეს რეალობას“

ირაკლი ღარიბაშვილი: „მაღალმთიან დასახლებებში 3 წლის განმავლობაში 968.5 მლნ ლარის ღირებულების პროექტები განხორციელდება“

გვ.2

ბიბილოვი: „რუსეთში ცალკე სუბიექტად შევალთ“

გვ.4

გვ.4

ანა ბუჩუკური: „სააკაშვილთან არ ვითანამშრომლებთ“

ლევან სილაგავა: „საქართველოში წისქვილკომბინატების დიდი რაოდენობა გაჩერებულია“

გვ.4

2 იოსებ არჩვაძე: „საქართველო სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოა“

5 იყალთოში პოლიციელს სცემეს

5 პროკურატურამ ქუთაისის მერიის საქმიანობაზე გამოძიება დაიწყო

6 ზელენსკი: „მარიუპოლში მყოფი სამხედროები რუსეთს არ ჩაბარდებიან“

1993230720223

„დიდი განსაცდელის წინაშე ვდგავართ, სააკაშვილის თემა აღარაა მნიშვნელოვანი“

გია ხუხაშვილი: „სახელმწიფო ინტერესზე არც ნაცები ფიქრობენ და არც ქოცები“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.

– ბატონო გია, რა მოლოდინი გაქვთ, რამდენად დალაგდება ურთიერთობები საქართველო-უკრაინის ხელისუფლებებს შორის? შეცვლის რამეს ეს ვიზიტი?

– რა არის იცით, თავისთავად ეს ვიზიტი კარგია, რა თქმა უნდა, თუმცა ახლა ჩვენ რომ ვისაუბროთ იმაზე, რომ ორ ქვეყანას შორის რაღაცა პრობლემები წყდება, არ შეგვიძლია. რატომ? იმიტომ, რომ ის კითხვები, რაც ჰქონდა უკრაინულ მხარეს, როგორც ჩანს, ისევ ძალაშია. ეს კითხვები რომ მოხსნილიყო, ამ შემთხვევაში, მინიმუმ, ელჩი დაბრუნდებოდა თბილისში. რადგან ეს არ მოხდა, როგორც ჩანს, მხოლოდ ეს პოლიტიკური დაპირებები არ არის საკმარისი და თუნდაც სამძიმარზე ჩასვლა. იმიტომ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ არ შეუწყო ამას ხელი, იმ რაღაც აბსოლუტურად გაუგებარი და ბრიყვული ულტიმატუმით, რაც წინ ჩაუფინეს ამ ვიზიტს. მერე თვითონ კი შეჭამა კობახიძემ თავისივე ულტიმატუმი და აღარავის აღარ ახსოვს, მაგრამ ფაქტია, რომ არა თუ ულტიმატუმი, არამედ უკრაინელები კიდევ ელოდებიან კითხვებზე პასუხებს, ყველა იმ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რაც იყო გამოთქმული.

– კონკრეტულად?

– აი, მაგალითად, სანქციებთან დაკავშირებით. კარგი, ბატონო, არ ვუერთდებით სანქციებს, ეს გავიგეთ, ხო? აცხადებს საქართველოს ხელისუფლება, რომ ჩვენ არ შევუწყობთ ხელს სანქციების გვერდის ავლას.

– შავ ხვრელებთან დაკავშირებით მოუწიათ თავის მართლება და განცხადების გაკეთება.

– დიდი ბოდიში, მაგრამ ეს არის მხოლოდ პოლიტიკური განცხადება. საქმე ისაა, შენ თუ ამბობ, რომ შენი ტერიტორიის გავლით, რუსეთში არ მოხვდება სანქცირებული პროდუქტი, ამას სჭირდება შესაბამისი ნორმატიული აქტი. ანუ მებაჟემ რომ არ გაატაროს სანქცირებული პროდუქტი რუსეთის მიმართულებით, მას უნდა ედოს მაგიდაზე შესაბამისი ნორმატიული აქტი, ფინანსთა მინისტრის ბრძანება, შესაბამისი ჩამონათვალით, რომ ამის გატარება რუსეთში არ შეიძლება.

„გიორგი მარგველაშვილს თავისი პოზიციის გამო არ ვაკრიტიკებ“

ჩვენ დღემდე არ ვიცით, ასეთი ნორმატიული აქტი არსებობს თუ არ არსებობს. რატომ მალავენ თუ არსებობს?! ნორმატიული აქტი თუ არ არსებობს, ამ შემთხვევაში მებაჟე გაატარებს კი არა, უფლებაც კი არა აქვს, რომ გააჩეროს ამ ტიპის ტვირთი. ისმის კითხვა, თუ არსებობს ასეთი ნორმატიული აქტი, გაასაჯაროვონ და რატომ უნდა გაასაჯაროვონ? იმიტომ, რომ ბიზნესმაც იცოდეს, რისი გატანა შეიძლება რუსეთში და რისი არა. შესაძლოა ვიღაცამ არ იცოდეს ეს ყველაფერი, შემოიტანოს რაღაცა რეექსპორტისთვის და მერე უცებ აღმოაჩინოს, ამის გატანა არ შეიძლება და იზარალოს. შესაბამისად, ბიზნესი ხომ უნდა იყოს ინფორმირებული, რისი კეთება შეიძლება და რისი არა. თუ ასეთი ნორმატიული აქტი არ არსებობს, მაშინ რის საფუძველზე გვიცხადებენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ეს არ ხდება?! ზეპირი მითითებებით?!

– იმის თქმა გინდათ, რომ ბოლომდე არ ენდობა უკრაინის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლებას, თორემ ელჩს დააბრუნებდნენ?

– რა თქმა უნდა, ასე იქნებოდა. თუნდაც ამ მიმართულებით რაღაც ნაბიჯები გადადგან, აჩვენონ საქმით. კი, ბატონო, სადღეგრძელოები გავიგეთ, სამძიმარზე ჩასვლაც გავიგეთ, კი, კარგია, მე კი არ ვამბობ, რომ ეს ცუდია, მაგრამ ასე არ წყდება პრობლემები, სიტყვების არავის არ სჯერა დღევანდელ სამყაროში. ქმედებებით უნდა აჩვენონ. აქ სიცხადეა შესატანი. მხოლოდ განცხადებების დონეზე, რომ ბიძინას გეფიცები, ჩვენ ამას არ ვაკეთებთ, ეს არ არის საკმარისი. ამას სჭირდება შესაბამისი ნორმატიული ბაზა. ჩვენ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ბაზარში ხომ არ ვართ არა?! შესაბამისად, ეს ნორმატიული ბაზა სანამ არ არსებობს, ან თუ არსებობს და იმალება, მანამდეი რა თქმა უნდა, მუდმივად იქნება ეჭვები და მუდმივად იქნება ამაზე საუბარი.

– ნაციონალური მოძრაობის ქმედებაზე რას იტყვით, ბატონო გია, ბოლო წუთს შეცვალეს გადაწყვეტილება და ცალკე ჩავიდნენ. რით ხსნით თქვენ მათ პოზიციას?

– რა გითხრათ, ნაცების და ქოცების ურთიერთობა პოლიტიკის მიღმაა. ეს არის რაღაც არაჯანსაღი პროცესი. ამ ორ პარტიას წარმოუდგენია, რომ სამყარო შედგება მხოლოდ ნაცებისა და ქოცებისგან და სამყაროში მეტი არაფერი არ არსებობს. შესაბამისად, იქცევიან საბნის გადაქაჩვის პრინციპით. სახელმწიფო ინტერესზე არც ერთი მხარე ფიქრობს და არც მეორე.

– გიორგი მარგველაშვილის პოზიციასა და მის ახალ გადაწყვეტილებაზე რას იტყვით?

– ეს არის მისი ინდივიდუალური გადაწყვეტილება. მე ვერ გავამტყუნებ გიორგი მარგველაშვილს ამ ყველაფრისთვის, მას აქვს თავისი პოზიცია, შესაძლოა აქვს გარკვეული სინანულის გრძნობაც, რომ თავის დროზე თვითონ არ შეიწყალა მიხეილ სააკაშვილი. ეს მისი პიროვნული განცდებია, პიროვნული ემოციებია. მე ამის გამო ნამდვილად არ გავაკრიტიკებ მას.

– სააკაშვილი ახსენეთ, რა ელოდება მას? ხელისუფლება პოზიციას არ იცვლის და მის შეწყალებას არ აპირებს.

– არ ვიცი, რა ელოდება. დღეს ბევრად უფრო სერიოზული განსაცდელის წინაშე დგას უკრაინა, ჩვენი ქვეყანა. სწორედ უკრაინის ბედზეა დამოკიდებული ის, თუ რა მოხდება საქართველოში. სააკაშვილის ბედი, ამ ყველაფრის ფონზე, არა მგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყოს.

– ნაციონალების მხრიდან ეს განცხადებები, ქუჩის აქციები და ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა ამ ეტაპზე რამდენად სწორია?

– რაც უნდათ, ის მოითხოვონ, მაგრამ ფაქტია, რომ საფუძველი, სიტუაცია არ არის, ჭიქაში ქარიშხალს ჰგავს ეს ყველაფერი. კი, შესაძლოა, მოსახლეობას აღარ უნდა ეს „ქართული ოცნება“, მაგრამ იგივე საზოგადოება არ არის მზად, რომ არჩევანი ისევ წარსულსა და აწმყოს შორის გააკეთონ. პოლიტიკური ელიტა არ სთავაზობს მომავალ არჩევანს.

ნაციონალური მოძრაობა არ აღიქმება ამ საზოგადოებაში მომავლის არჩევანად. შესაბამისად, საფუძველი ამ ყველაფერს არა აქვს. კი ბატონო, ვიღაცას უნდა ხელოვნურად პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნა, ეს მათი გადასაწყვეტია, მაგრამ ის, რომ რაღაც რევოლუციური სიტუაცია იყოს ქვეყანაში, ან რაღაც მსგავსი კრიზისი, რომელიც აიძულებს ხელისუფლებას რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს, ასეთი არ ჩანს. დღეს საზოგადოებას არა აქვს ის არჩევანი, რომელიც მას უნდა და ამის გამო ურჩევნია, რომ გაჩერდეს. რა, ქოცი გაუშვას, ნაცი მოიყვანოს?! ეს არ უნდა ამ საზოგადოებას! ხოლო სხვა ალტერნატივა, ჯერჯერობით ძლიერი, რომელსაც მომავალს ანდობს ეს საზოგადოება, არ ჩანს.

ილია ღუდუშაური“: „13.000 ოჯახი მიიღებს საცხოვრებელ ფართს“

18 აპრილს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარებასა და დევნილი ოჯახებისთვის ბინებით უზრუნველყოფაზე ისაუბრა.

პრემიერის ინიციატივაზე დამატებითი დეტალების გასაგებად პია ჯი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს ილია ღუდუშაურს გაესაუბრა.

– პრემიერის ინიციატივით დახმარება 100 ლარიდან გაიზარდა 150 ლარამდე, რომელიც ძალაში 1 ივნისიდან შედის, აგრეთვე, გაუღერდა ის ფაქტი, რომ 2023 წლის 1 იანვრიდან ეს დახმარება გაიზრდება 200 ლარამდე, ანუ გაორმაგდება. ამ დახმარებით ისარგებლებს დაახლოებით 220.000 ბავშვი, – განაცხადა ილია ღუდუშაურმა.

– 13.000 დევნილ ოჯახს გადაეცემა ბინა. რა ვადებში განხორციელდება ეს პროგრამა და რომელ ქალაქებში გადაეცემათ ბინა დევნილებს?

– 2022-2025 წლის განმავლობაში 13.000 ოჯახი მიიღებს საცხოვრებელ ფართს, საიდანაც დაახლოებით 7.000 საცხოვრებელი ფართი იქნება ბინა, რომლის მშენებლობასაც დევნილთა სააგენტო განახორციელებს. სატენდერო სამშენებლო სამუშაოები ამ გაზაფხულზე დაიწყება. პროგრამა დამტკიცებულია. ეს 7.000 ბინა იქნება გარემონტებული და სრულად მზადყოფნაში იმისთვის, რომ ბენეფიციარი შევიდეს და იცხოვროს. მშენებლობები განხორციელდება დიდ ქალაქებში, ესენია თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ზუგდიდი და ბორჯომი.

დევნილთა სააგენტოს აქვს „სოფლად სახლის“ პროგრამა და აგრეთვე, პროგრამა, რომლის მიხედვითაც დევნილ ოჯახებს თავად შეუძლიათ, მოიძიონ ბინა და იმ ბიუჯეტის ფარგლებში, რომლებიც დამტკიცებულია, შემოიტანონ განაცხადი და თანხით უფინანსდებათ ბინის შესყიდვა. ამ პროგრამის ფარგლებში, ვფიქრობთ, დაახლოებით 6.000-მდე ოჯახი დაკმაყოფილდება და ამის შესაბამისი ბიუჯეტი უკვე გამოყოფილია და შეთანხმებულია ფინანსთა სამინისტროსა და მთავრობასთან.

ირაკლი ღარიბაშვილი: „მაღალმთიან დასახლებებში 3 წლის განმავლობაში 968.5 მლნ ლარის ღირებულების პროექტები განხორციელდება“

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები განიხილეს მთის განვითარების ეროვნული საბჭოს სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

სამოქმედო გეგმის თანახმად, 3 წლის განმავლობაში დაგეგმილია 968.5 მლნ ლარის ღირებულების პროექტები, მაღალმთიანი დასახლებების, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სოციალური მხარდაჭერის მიზნით, რაც 29%-ით აღემატება წინა პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს.

საბჭომ განიხილა „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების პროექტი, რომლის თანახმადაც, 2022 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის თანხები განაწილდება.

გეგმის მიხედვით, 2022 წელს 20 მლნ ლარია გამოყოფილი შესაბამისი ინფრასტრუქტურული და სასოფლო-სამეურნეო პროექტებისათვის, ხოლო დაახლოებით 5 მლნ ლარი გამოიყოფა მაღალმთიან დასახლებებში სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელებისთვის, როგორიც არის აგროდაზღვევის პროექტი, „დანერგე მომავალი“ და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების პროგრამა.

იოსებ არჩვაძე: „საქართველო სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოა“

ეკონომიკის ექსპერტი იოსებ არჩვაძე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დაყენებულ ინიციატივათა ერთობლიობას გამოეხმაურა, რომელზედაც ირაკლი ღარიბაშვილმა 18 აპრილს მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

– ჩვენს მოსახლეობაზე პირდაპირი ეკონომიკური ეფექტი დაახლოებით 45%-ზე ვრცელდება, ხოლო არაპირდაპირი ეფექტი, იმის გათვალისწინებით, რომ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები, ეს თეატრი იქნება თუ მუზეუმი და ა.შ. მათი მომხმარებელი მთელი საზოგადოება რომ ჩავთვალოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სრულდება ის სლოგანი, აზრი, რომელიც ჩადებულია ჩვენს კონსტიტუციაში, რომ საქართველო სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოა, – განაცხადა იოსებ არჩვაძემ.

ეკონომისტმა, ასევე, აღნიშნა, რომ 2012 წელთან შედარებით, სოციალური დანიშნულებით ბიუჯეტის პირდაპირი ხარჯები 32%-დან უკვე 51%-მდე გაიზარდა.

– ბიუჯეტი აბსოლუტურად იზრდება და ამ ნაზარდ ბიუჯეტში, სოციალური მიმართულების ხარჯები კიდევ უფრო მეტად იზრდება, ეს იქნება სოციალური დაცვა, განათლება, ჯანდაცვა და კულტურა, – ამბობს იოსებ არჩვაძე.

18 აპრილს, მთავრობის სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილმა განვადებით მშენებლობის პროგრამის დაწყების შესახებ ისაუბრა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს არის მასშტაბური პროგრამა, რომლის დაფინანსების ჯამური მოცულობა შეიძლება 3 მლრდ ლარიც იყოს.

პრემიერმა იმ პროექტების შესახებ ისაუბრა, რომელიც წელსვე დაიწყება და მომდევნო სამი-ოთხი წლის განმავლობაში უნდა დასრულდეს.

პროგრამის განხორციელებით დასაქმდება 20.000 ადამიანი, რაც შესაბამისად 20.000 ახალი სამუშაო ადგილს გულისხმობს.

– ჩვენ სამშენებლო სექტორს შევთავაზებთ, რომ მოიზიდონ ჩვენი გარანტიით, გარანტირებული დაკვეთით დამატებითი ფინანსური რესურსი და ჩაერთონ ამ პროგრამაში. ვფიქრობ, ეს იქნება უნივერსალური გადაწყვეტილება.

ერთი მხრივ, ჩვენ დაგეგმილ პროექტებს ვადაზე ადრე განვახორციელებთ და მეორე მხრივ, ეკონომიკას დაეხმარება ეს ყველაფერი. ასევე, ბიზნესისთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, როგორც აღვნიშნე. მთავრობა საკუთარ პროექტებს განახორციელებს ვადაზე ადრე, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქვეყანაში ერთპარტიული კი არა, ერთი კაცის მმართველობაა“

მურმან დუმბაძე: „აუცილებლად გამოვა ხალხი ქუჩაში და გააპროტესტებს არსებულ უმძიმეს რეალობას“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, მიხეილ სააკაშვილი ხვალ, თავის სასამართლო პროცესზე ვადამდელი არჩევნების გეგმაზე ისაუბრებს. რა იცით ამ გეგმის შესახებ?

– რეალურად რაიმე განსაკუთრებულს არ ველოდებით. ქვეყანაში გვაქვს ის რეალობა, რომელიც გვაქვს. არაფორმალური მმართველობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, გაჭირვება, უმუშევრობა, ინფლაცია. ხელისუფლება, რომელიც რუსულ ორბიტაზეა და რომელსაც ომიდან ერთ თვეზე მეტი დასჭირდა უკრაინაში ოფიციალური ვიზიტით ჩასვლაზე სამძიმრის სათქმელად. არეული საგარეო ორიენტირები ეს ყველაფერი არის საკმარისი საიმისოდ, რომ ვადამდელი, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს, რადგან ასე გაგრძელება არ შეიძლება.

არსებული ხელისუფლება თუ რიგგარეშე არჩევნებში მოიპოვებს ხელახალ ლეგიტიმაციას, მაშინ დარჩება ის ქვეყნის ძალაუფლებაში და ვიქნებით იმ ჭაობში, რომელშიც ვართ, მაგრამ ეს იქნება ხალხის გადაწყვეტილება. თუ ლეგიტიმაცია არ ექნება „ქართულ ოცნებას“ და რიგგარეშე არჩევნები სხვა შედეგებს დადებს, მაშინ იცვლება ხელისუფლება. ეს ჩვეულებრივი ამბავია და არც ერთ ნორმალურ სახელმწიფოში არჩევნებით ხელისუფლების ცვლილება არავის არ აუკრძალავს.

– რიგგარეშე არჩევნების შესაძლებლობა რამდენად არის? ფიქრობთ, ხალხი მზად არის ქუჩაში გამოსასვლელად ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით?

– ასე ამბობდნენ ასლან აბაშიძის დროსაც, რომ ხალხი არ გამოვა ქუჩაში და ასლან აბაშიძეს ვერავინ ვერ შეცვლის. სხვათა შორის, ასე ამბობდნენ 2012 წელსაც, რომ საარჩევნო ყუთებთან ხალხი არ მივა და სააკაშვილს ვერავინ ვერ შეცვლის, მაგრამ დადგა 1 ოქტომბერი და შევცვალეთ სააკაშვილი. დარწმუნებული ვარ, თუ მიხეილ სააკაშვილი არ აღიარებდა მაშინ დამარცხებას, ხალხი ქუჩაში სტიქიურად გავიდოდა ყოველგვარი ლიდერისა და ოპოზიციის დაძახილის გარეშე. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

ვადამდელ არჩევნებამდე ყველაზე მოკლე გზა, რასაკვირველია, პარლამენტის, საკრებულოების, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სრული ბოიკოტი იქნებოდა, მაგრამ ჯერ ეს გადაწყვეტილება ოპოზიციის მხრიდან არ არის მიღებული. თუმცა, დარწმუნებული ვარ, დაინიშნება ვადამდელი არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას „ქართული ოცნებაც“ მიიღებს და ამომრჩეველმა გადაწყვიტოს, ვინ უნდა იყოს ხელისუფლებაში.

– „ოცნების“ დეპუტატი მიხეილ სარჯველაძე ამბობს, ვისაც ხელისუფლების გადაყირავების ნოსტალგია აქვს, ეს უსარგებლო, განწირული მცდელობებია. ის მიიჩნევს, რომ ოპოზიციის მხრიდან ადგილი აქვს სასოწარკვეთილ ქმედებებს.

– მიხეილ სარჯველაძე არის ნომერ პირველი უფლებადამცველი. სწორედ ის ხელმძღვანელობს პარლამენტში ამ კომიტეტს და როგორია, რომ ოპოზიციას ბრალს დებს ხელისუფლების გადაყირავებაში?! ვინ თქვა, რომ ხელისუფლება უნდა გადავაყირავოთ თუ ავაყირავოთ?! არჩევნები და ხალხის ნების გამოხატვა თუ არის ხელისუფლების გადაყირავება, მაშინ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ დემოკრატიულ სამყაროში სწორედ არჩევნებია მთავარი წყარო ძალაუფლების.

საინტერესოა, ბატონი სარჯველაძე შევარდნაძის დროს სად იყო? ან სააკაშვილის დროს? რაღაც არ მახსენდება, გამოსულიყო და ერთი ადამიანის შელახული უფლება მაინც დაეცვა. მაშინ სად იყო, ვეკითხები?! ამიტომ, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, დღეს რას იტყვის მიხეილ სარჯველაძე.

– ბატონო მურმან, არის დღეს ქვეყანაში განწყობა, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს? შეიძლება ცხოვრების დონით არ იყვნენ კმაყოფილები, მეტიც, შეიძლება ძალიან დიდი პროტესტიც ჰქონდეთ, მაგრამ რამდენად არის მზაობა ქუჩაში გამოსვლის?

– შეუძლებელია არ იყოს ეს მზაობა. აუცილებლად გამოვა ხალხი ქუჩაში და გააპროტესტებს არსებულ უმძიმეს რეალობას. ამ რეალობის შესაცვლელად კი საჭირო არის რიგგარეშე არჩევნები, ეს რეალობა თავისით არ შეიცვლება. და საერთოდ, ამ ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობა უნდა დასრულდეს. მრავალპარტიული, კოალიციური მმართველობა უნდა მოვიდეს და მართოს ქვეყანა.

– ყველა ხელისუფლება კოალიციური იყო არჩევნებში გამარჯვების დროს.

– დიახ, მაგრამ საუბარია რეალურ კოალიციაზე. რეალურ კოალიციურ მმართველობაზე. დღეს არათუ ერთპარტიული მმართველობა, არაფორმალური, ერთი კაცის მმართველობა გვაქვს. ეს უნდა დამთავრდეს. ამაზეა საუბარი.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, ხალხი გამოვა თუ არ გამოვა, ამის წინასწარ თქმა არის შეუძლებელი. თუმცა, მე დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამოვა. სხვაგვარად შეუძლებელია. მანიფესტაციები, პროტესტი, ქუჩაში მშვიდობიანი გამოსვლა, ხალხის უმთავრესი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. სწორედ ამ უფლებაზეა საუბარი.

– დანარჩენ ოპოზიციასთან იყო კონსულტაციები?

– ერთი პარტიის საქმე არ არის მანიფესტაციები, ქუჩაში გამოსვლა ეს საერთო საქმეა ყველა ოპოზიციური პარტიის. საჯარო რესურსზე დგას ეს ხელისუფლება და ეს რესურსი უნდა გამოვაცალოთ.

– რა გარანტიაა, რომ იგივე არ მოხდება და თუნდაც საჯარო რესურსი არ იქნება ისევ დასაყრდენი?

– ამ შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები უნდა დაინიშნოს სრულად პროპორციული წესით და არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს საზღვარგარეთ წასულმა მილიონ ნახევარმა ამომრჩეველმაც. არჩევნები ელექტრონული სისტემით უნდა ჩატარდეს. ნაწილობრივ მაინც, რომ ჩვენმა ემიგრანტებმაც მიიღონ მონაწილეობა. ასეთ შემთხვევაში გამორიცხულია, საჯარო რესურსი გახდეს „ქართული ოცნებისთვის“ გამარჯვების გარანტია.

სამართლიანი არჩევნების შედეგები თუ იტყვის, რომ „ქართული ოცნება“ უნდა დარჩეს ხელისუფლებაში, მაშინ ჩვენ ვიტყვით – დაე, დარჩეს და ვიყოთ ამ ჭაობში. ეს იქნება ქართველი ხალხის, ამ ქვეყნის ამომრჩევლის გადაწყვეტილება.

„ჩვენც ჯახირ-ჯახირ მივყვებით უკრაინის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ“

დავით ბერძენიშვილი: „რუსეთის იმპერია ამჟამად უფრო მაგრად დაინგრევა, ვიდრე ეს იყო 1918 თუ 1990 წელს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი პასუხობს.

– ბატონო დავით, გასული კვირის ბოლოს საპარლამენტო დელეგაცია უკრაინაში იმყოფებოდა. რამდენად გაქვთ მოლოდინი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გამოსწორების?

– კი, რა თქმა უნდა, ამის შანსები არის. ჩვენმა ხელისუფლებამ ძალიან შეტოპა, მაგრამ უკრაინის ხელისუფალი უფრო გონიერი, უფრო პრაგმატული აღმოჩნდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა, კულებამ, თბილი სიტყვები თქვა ახალდანიშნულ საგარეო საქმეთა მინისტრ, დარჩიაშვილთან შეხვედრისას. შემდეგ რადას სპიკერი განსაკუთრებით და აქტიურად ჩაერთო ქართულ-უკრაინული ურთიერთობების მოწესრიგებაში და მთავარი ფიგურა ამ პროცესში, რა თქმა უნდა, სტეფანჩუკია.

– საკმაოდ მალე შეცვალა პაპუაშვილმა პოზიცია.

– პაპუაშვილი ძალიან არაგონივრული განცხადებების ფონზე, მაინც წავიდა და უკრაინაში საკმაოდ კარგი განცხადებები აკეთა, ახლა ამას არ დავუკარგავ, ქვეყნისთვის სასარგებლო იყო ეს განცხადებები. რამდენი ოპოზიციონერიც არ უნდა იყოს სოლიდარული უკრაინის მიმართ, ქვეყნის ოფიციალურ პოზიციას მაინც ხელისუფლება გამოხატავს. ამდენად, ეს კარგია, რომ საქართველოს სახელმწიფოს სახელით პაპუაშვილმა ერთობლივ ბრიფინგზე, რადაშიც, ბუჩაშიც, კარგი და სწორი პოზიციები დაიკავა.

– თამამი განცხადებები გააკეთა.

– დიახ, არ დაუწყია სიტყვების ძებნა. კარგად გვახსოვს, რომ რუსეთს ვერ წერდნენ

რეზოლუციაში. ეს უმწიფარობის ამბავი იყო, უცოდინრობის, უვიცობის ამბავი იყო, რუსეთს რომ ვერ წერდნენ. მერე მოუხდათ რუსეთის წინააღმდეგ ხმის მიცემა, ჰაგაში თანაინიციატორები ვართ რუსეთის დასჯის, სამხედრო დამნაშავეების გამოვლენის მოთხოვნის, გაეროშიც, ევროსაბჭოშიც. ასე რომ, ჩვენ ძალიან ბევრს ვიგებთ უკრაინის წინააღმდეგობით.

2024 წლის ბოლოსთვის ვარაუდობდა „ქართული ოცნება“ განაცხადის შეტანას ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე. ორწელიწად-ნახევრით ადრე მოგვიხდა ამ განაცხადის შეტანა, სწორედ უკრაინის მედგარი წინააღმდეგობის ხარჯზე და მათთან ერთად. ანუ უკრაინა ლოკომოტივია ახლა საქართველოსა და მოლდოვისთვის. საქართველოს ხელისუფლება აწიც მოახერხებს ახალ სისულელეებს, ამაში ეჭვი არ მეპარება, სამწუხაროდ, მაგრამ იმედი მაქვს მაინც, რომ რუბიკონი გადალახულია და სისულელეების იმ კასკადს მაინც ვეღარ გაიმეორებს, რაც აქამდე იყო.

– უკრაინამ შეავსო უკვე კითხვარი, ჩვენ ჯერ არც დაგვიწყია ეს პროცესი. ხომ არ ვაგვიანებთ?

– კითხვარზე ერთ რამეს გეტყვით, ანტიდისკრიმინაციული კანონი თავის დროზე იყო აუცილებელი პირობა ვიზალიბერალიზაციის გზაზე. მიშა სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ გაბედა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება საპატრიარქოს შიშით და რაღაც სხვა მოტივებით. კიდევ კარგი, რომ მაშინ ჩვენ მოგვიხერხდა, უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკელებს, ბიძინა ივანიშვილის დაყოლიება და ბიძინა ივანიშვილი ამ თვალსაზრისით პოზიტიურად მოიქცა მაშინ, როცა მის „ქართულ ოცნებას“ ხელი გადაუგრიხა და ეს კანონი სულ გრიალ-გრიალით გავიდა 111-0-ზე. ამ დროს, იმ 111-იდან, 11 კაცი თუ ვიქნებოდით, ვინც გულწრფელად ვიყავით ანტიდისკრიმინაციული კანონის მომხრე. კვლავ დადგება ასეთი პრობლემის წინაშე „ქართული ოცნების“ ხელისუფლება და განსაკუთრებით, ღარიბაშვილი.

– რას გულისხმობთ, რა პრობლემის წინაშე დადგება?

– ერთ-ერთი კითხვა არის, რას აპირებთ პარტნიორულ ურთიერთობებთან დაკავშირებით? ეს საკითხი, მოკლედ, ოჯახზე როცაა ლაპარაკი და ოჯახს გარდა კიდევ საპარტნიორო კონტრაქტზე. ამ ვითარებაში ძალიან რთულ მდგომარეობაში იქნება „ქართული ოცნება“ კითხვარის შევსების დროს. არადა, ეს პირობა არის კანდიდატობის, უკრაინასაც ამას სთხოვენ, მოლდოვასაც და ყველა იმ ქვეყანას, ვისაც ევროკავშირში შესვლა უნდა, იმ გადაწყვეტილებებით, რაც ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედებს, სასამართლო გადაწყვეტილებებით, ეს არის ისეთივე მნიშვნელოვანი პირობა, როგორიც იყო ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება.

– რა მოლოდინი გაქვთ? რას იზამს „ქართული ოცნება“?

– ძალიან გაუჭირდებათ, ახლა უარი თქვან. დაბნეულები რომ არიან, აშკარაა, მალავენ ამას, წელავენ კიდეც დროს. უკრაინა ცდილობს, რაც შეიძლება დააჩქაროს კანდიდატობის სტატუსი და უკვე შეავსო და გაგზავნა. როგორც გვახსოვს, უკრაინას რომ გადასცეს ეს კითხვარი, შაბათ დღეს, ორშაბათს გადმოგვცეს ჩვენ და მოლდოვას. ერთდროულად მოგვცეს. უკრაინამ უკვე შეავსო და საქართველო ამბობს, რომ მაისის შუა რიცხვებში გავგზავნიო. ანუ ერთი თვის დაგვიანებით. ეს იმასაც ნიშნავს, რომ მთლად კარგად გააზრებული არა აქვთ. იმედი მაქვს, რომ ეს უვიცობის შედეგია და არა გააზრებული მტრობის შედეგი, რომ ერთი თვის ჩამორჩენა უკრაინასთან, სახიფათოა, არ არის ეს კარგი.

ჩვენთვის ახლა უკეთესია, უკრაინაზე რომ მიიღებენ გადაწყვეტილებას, იქვე ვიყოთ, რომ იმავე დღეებში იყოს საქართველო-მოლდოვაზეც გადაწყვეტილება მისაღები. აი ეს მიდგომა კი, ბუნებრივია, უკრაინასთან ერთად, ასე პირდაპირ დღე-დღეზე ვერ განიხილავს, რადგან მათ შევსებული და გაგზავნილი აქვთ. მაინც მოუწევთ, ასე თუ ისე, შეავსებენ. იმ შევსებულიდან რაღაცებს დაუწუნებენ, რაღაცებში ეტყვიან, რომ ნუ გვატყუებთ, თავს არ მოვიტყუებთო. ეს კითხვარი მერე ხომ შესამოწმებელია?! სწორად გასცეს პასუხი თუ არა. ასეა თუ ისეა, ამ ჯახირ-ჯახირ მივყვებით უკრაინის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ. ძალიან მაღალია ალბათობა, რომ მსოფლიო დემოკრატია ამჯერად შუა გზაზე არ მიატოვებს რუსეთის იმპერიის ნგრევის პროცესს და პუტინის რეჟიმი უკრაინაში დასავლეთთან დამარცხდება. სამწუხაროდ, ეს გადის კიდევ უფრო მეტ დასაღვრელ უკრაინულ სისხლზე.

– ომის მეორე ფაზა გახსნა რუსეთმა უკრაინაშიო. რამდენად ელოდებით ვითარების კიდევ უფრო გამწვავებას?

– კი, შეიძლება გამწვავდეს და ყველაზე უფრო ძლიერი შენაერთები უკრაინას სწორედ იქ ყავს, დონბასში. 2014-იდან იმ ხაზს იცავენ და ვერ მოერია რუსეთი, ნაბიჯი ვერ გადადგა წინ. ამიტომ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შეუტია. რუსეთი ცდილობს ალყაში მოაქციოს უკრაინელი მეომრები. მარიუპოლი საერთოდ სასწაულია. რაც უნდა მეტი ნაბიჯით წაიწიოს რუსეთმა წინ, ასეც რომ მოხდეს, ჯამში ის უკრაინას ვერ დაამარცხებს. უკრაინას ჯერ არ უდგას ის ვითარება, რომ პარტიზანულ ბრძოლაზე გადავიდეს. მე ვფიქრობ, არც დაუდგება უკრაინას ეს ვითარება. ვერ შეძლებს რუსეთი უკრაინის ტერიტორიის კონტროლს. მაგრამ იქ, რასაც აკონტროლებს, იქ ნამდვილად მიიღებს წინააღმდეგობას და პარტიზანობას და ძალიან მძლავრს. ამის გამოცდილება უკრაინელებს აქვთ. რუსეთი ამ ომში დამარცხდება!

ამჟამად გაგვიმართლა, მერკელი აღარ არის, ჯონსონი ყოჩაღი გამოდგა, მძინარე ჯო, სულ არ აღმოჩნდა მძინარე ჯო და ცივილიზაციური მსოფლიოს ლიდერის როლშია. არც მაკრონი არ იქნება რუსების მხარეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იტალიას ყავს ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურა პრემიერად. რუსეთს მოკავშირედ საერთოდ არავინ არა ყავს.

– ჩინეთი?

– ჩინეთიც ძალიან ისე უყურებს დასუსტებულ რუსეთს, რომ ერთ-ორ მილიონ კვადრატულ კილომეტრს აითვისებს ნელ-ნელა შორეულ აღმოსავლეთში. მე მოლოდინი მაქვს, რომ რუსეთის იმპერია ამჟამად უფრო მაგრად დაინგრევა, ვიდრე ეს იყო 1918 თუ 1990 წელს.

ლევან იოსელიანი: „ვადამდელი არჩევნების წინაპირობა არ არის“

„მოქალაქეების“ წევრის, პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ლევან იოსელიანის განცხადებით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების წინაპირობა ახლა არ არსებობს და ამაზე საუბარი აზრს მოკლებულია. ამის შესახებ იოსელიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რითაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ლევან ხაბეიშვილის განცხადებას გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ 20 აპრილს, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მის სასამართლო პროცესზე, ვადამდელი არჩევნების გეგმასთან დაკავშირებით ისაუბრებს.

– ახლა რომ ვადამდელი არჩევნების წინაპირობა არ არის, მგონი, ყველა ვხედავთ. არც კრიზისია და არც არაფერი ისეთი, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს. ზოგადად, მგონი, ვადამდელ არჩევნებზე საუბარი ახლა აზრს მოკლებულია. ჩვენი მოქალაქეებისთვის კიდევ რაღაცის შეპირება, მერე იმედგაცრუება, ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, პოლიტიკისა და პოლიტიკოსებისადმი ძალიან დაბალ ნდობას იწვევს. ვადამდელი არჩევნების მომხრე ისედაც არ ვარ, მაგრამ, ზოგადად არ ვარ მომხრე, ოპოზიციამ ისეთი დაპირებები გასცეს, რომელსაც ვერ შეასრულებს, იმიტომ, რომ ვადამდელი არჩევნები 2024 წლამდე, ჩემი აზრით, არ იქნება, – განაცხადა ლევან იოსელიანმა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

ბიბილოვი: „რუსეთში ცალკე სუბიექტად შევალთ“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთის მიერ ოკუპირებულ და აღიარებულ ცხინვალის რეგიონში 29 აპრილს დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურია დანიშნული. მასში მონაწილეობენ ანატოლი ბიბილოვი, რომელსაც ე. წ. პრეზიდენტობის ვადა ამოეწურა და პოლიტიკური მოძრაობა „ნიხასის“ თავმჯდომარე ალან გაგლოევი. გაგლოევმა პირველ ტურში ბიბილოვს გაასწრო. ოდიოზურმა ბიბილოვმა არჩევნების წინ ხმების მოსანადირებლად ყველა ღონე იხმარა და წინასაარჩევნოდ კიდევ ერთხელ წამოსწია საქართველოს ამ კუთხის რუსეთში შესვლის (ჩრდილოეთ ოსეთთან მიერთების) საკითხი. ეშხში შესული ბიბილოვი აანონსებდა „ორი გაერთიანებული ოსეთის“ დასახელებასაც კი. საჩქაროდ შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი ამ თემაზე რეფერენდუმის ჩასატარებლად. ბიბილოვის კონკურენტი გაგლოევი რუსეთში შესვლის მოწინააღმდეგე არ არის, თუმცა ამბობს, რომ საკითხი მოსამწიფებელია. როგორც ჩანს, ცხინვალის რეგიონის ამომრჩეველთა უმრავლესობა გაგლოევის პოზიციას იზიარებს.

ფაქტობრივი არჩევნების მეორე ტურის წინ ბიბილოვი საქართველოს ამ კუთხის რუსეთთან მიერთებას არ ეშვება, თუმცა „ორი ოსეთის“ შერწყმის იდეას მიზნად აღარ ისახავს. თუ აპრილის პირველ რიცხვებში ოკუპანტ რუსეთში პოლიტიკოსებისა და ექსპერტების უმრავლესობა მსჯელობდა ცხინვალის რეგიონის რუსეთში შესვლის პერსპექტივებზე, ამჟამად გამოჩნდნენ სკეპტიკოსები. კავკასიის საკითხებზე მომუშავე მაქსიმ ვასკოვი აცხადებს, რომ რეგიონის რუსეთში შესვლა და ოსი ხალხის გაერთიანება ნაკლებად არის მოსალოდნელი „სამხრეთ ოსეთის“ გეოგრაფიული, დემოგრაფიული და სოციალ-ეკონომიკური პირობების გამო. მისი თქმით, ცხინვალში რუსეთთან შეერთების სურვილი ადრეც გამოუხატავთ. მათ შორის, ხალხის საყოველთაო ნების გამოხატვის სახით. რუსეთის მხარე ამაზე არ წავიდა და განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთთან“, როგორც მოკავშირე სახელმწიფოსთან, ითანამშრომლებს. მასთან შეერთების გადაწყვეტილება რუსეთს მაშინაც კი არ მიუღია, როცა საქართველოსთან ურთიერთობა დაძაბული იყო.

ვასკოვის შეფასებით, ამჟამად საქართველო არ მიუერთდა ანტირუსულ სანქციებს და ამ ნაბიჯს მოსკოვი, მით უმეტეს, არ გადადგამს.

ოდიოზური ბიბილოვი საქართველოს ტერიტორიების ჩუქებით ქულების დაწერაზე ხელს არ იღებს და რუსეთში „დაბრუნებაზე“ ტეხს ალიაქოთს. თავის შეგონებებს ბიბილოვი რუსულ მედიას უზიარებს.

– გქონდათ თუ არა რუსეთის თანხმობა, როცა ამ ინიციატივას აყენებდით? როგორ აფასებთ რუსეთისა და საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციებს?

– ჩვენს ინიციატივას მოჰყვა დადებითი გამოხმაურებები რუსეთის პოლიტიკოსების უმრავლესობის, დეპუტატების, სენატორების, ექსპერტებისა და საზოგადო მოღვაწეების მხრიდან. იგრძნობა მხარდაჭერა რუსეთის მედიისგან. რაც შეეხება რეაქციას, რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის ხაზს უსვამდა პატივისცემას ხალხის ნებისადმი. ის უეჭველად დაეყრდნობა ოსი ხალხის აზრს ამ გადაწყვეტილების მიღებისას. საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია მოსალოდნელი იყო. ეს სახელმწიფოები ადრე საქართველოს მილიტარიზაციაშიც მონაწილეობდნენ და მხარს უჭერდნენ საქართველოს ავანტიურას. მას შემდეგ არაფერი შეცვლილა.

– როდის გაიმართება რეფერენდუმი?

– რეფერენდუმი საპრეზიდენტო არჩევნებს არ დავამთხვიეთ. გადაწყვეტილება პრინციპულია. ამით თავიდან ავიცილეთ სპეკულაციები. რუსეთში შესვლის საკითხი რესპუბლიკის მცხოვრებლებმა ცალკე უნდა გადაწყვიტონ, იმისდა მიუხედავად, თუ ვის უჭერენ მხარს საპრეზიდენტო არჩევნებზე. ოსი ხალხის სამხრეთის ნაწილის მისწრაფება რუსეთში დაბრუნებისკენ არასდროს ყოფილა დამოკიდებული შიდაპოლიტიკურ პროცესებზე. ახლაც ასე უნდა იყოს. რეფერენდუმის ჩატარების კონკრეტულ ვადას საინიციატივო ჯგუფი გადაწყვეტს. პროცედურასა და იურიდიულ საკითხებს პასუხისმგებლობით ვუდგებით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ პროცედურის ლეგიტიმურობასთან არანაირი პრეტენზიები არ იყოს. ამჟამად მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება რეფერენდუმის თაობაზე. მთელ მსოფლიოს უნდა ვუჩვენოთ, რომ სამხრეთ ოსეთის ხალხი რუსეთში შესვლის მომხრეა. შემდეგ ხელმოწერებს ცესკოში წარვადგენთ, მოგვიანებით – უზენაეს სასამართლოს გადავცემთ რეფერენდუმის გამართვის ბრძანებულების პროექტს. სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ შეგვიძლია რეფერენდუმის ვადის განსაზღვრა.

– ჩრდილოეთ ოსეთთან შერწყმისას რეგიონში აუცილებლად დადგება ხელისუფლების საკითხი. ვინ ჩაუდგება სათავეში გაერთიანებულ რესპუბლიკას?

– სამხრეთ ოსეთს შეუძლია რუსეთის ფედერაციაში შესვლა მხოლოდ ცალკე სუბიექტის სახით. სხვანაირად შესვლას კანონმდებლობა კრძალავს. მთავარია, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა-ალანია ერთი სახელმწიფოს შემადგენლობაში იყვნენ, რათა ჩვენ ერთად განვვითარდეთ, ერთი გზით ვიაროთ, რომ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არ იყოს სასაზღვრო და საბაჟო ბარიერები. შესაძლო შერწყმის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მაშინ, როცა არსებობს ორივე რესპუბლიკის ხალხის ნების გამოხატულება და, რასაკვირველია, რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება.

– როგორ რეაქციას ელით საქართველოსგან რუსეთში შესვლის შემთხვევაში?

– რეაქცია ისტერიკული იქნება. არ არის გამორიცხული პროვოკაციები საქართველოს რადიკალური ძალებისაგან. ვფიქრობ, რომ უსაფრთხოების დაცვას შევძლებთ. ამას მოვახერხებთ ერთობლივად რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად. ამ შემთხვევაში საქართველომ თავის თავს უნდა დაებრალოს. მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებული, მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გამყარებულიყო სამხრეთ ოსეთის ხალხის მისწრაფება რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე.

ანა ბუჩუკური: „სააკაშვილთან არ ვითანამშრომლებთ“

პარტია „საქართველოსთვის“ წევრის ანა ბუჩუკურის განცხადებით, საქართველოში რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება თუ არა, ამას წყვეტს მოსახლეობა და ამიტომ გამორიცხული არაფერია.

რაც შეეხება უშუალოდ მიხეილ სააკაშვილთან თანამშრომლობის საკითხს, როგორც ბუჩუკურმა ჟურნალისტებთან განმარტა, პარტია „საქართველოსთვის“ გუნდი მიხეილ სააკაშვილთან რამე მოლაპარაკების პროცესში არ ჩაერთვება.

– მუნიციპალური არჩევნების დასრულების დღიდან ჩვენი გუნდის პოზიცია იყო, მიუხედავად იმისა, როგორ ჩატარდა არჩევნები და რა ნიშნული დაიწერა „ქართულმა ოცნებამ“, მას აუცილებლად შეექმნებოდა არასამართლებრივი, არამედ პოლიტიკური ლეგიტიმაციის პრობლემა და ეს პირველივე კრიზისში გამოჩნდა.

ამ ქვეყანაში რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება თუ არა, ამას წყვეტს არა ირაკლი კობახიძე თუ ანა ბუჩუკური და ა.შ. არამედ, ამას წყვეტს მოსახლეობა და ჩვენი მოქალაქეების განწყობები. ამიტომ, გამორიცხული არაფერია, – აცხადებს ანა ბუჩუკური.

მისი განმარტებით, ყველა კრიზისში ჩანს მმართველი პარტიისადმი მოსახლეობის ნდობის ხარისხის პრობლემა, რამაც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა, გამიწვიოს რიგგარეშე არჩევნები.

– თუმცა, აქვე იმასაც გეტყვით, რომ მორიგ არჩევნებამდე ბევრი დრო არ არის დარჩენილი, 2 წელი დაგვრჩა. ფაქტობრივად, ერთი წლით ადრე იწყება ხოლმე საარჩევნო მზადება და იქამდეც ბევრი დრო არ არის, თუმცა არავინ იცის, ხვალ და ზეგ რა მოხდება და არავინ იცის, მოუწევს თუ არა „ქართულ ოცნებას“, დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები, – განაცხადა ანა ბუჩუკურმა.

ცნობისათვის, ლევან ხაბეიშვილის ცნობით, გეგმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ქვეყანაში ვადამდელი არჩევნების დანიშვნა, საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი დღეს, 20 აპრილის სასამართლო სხდომაზე, ისაუბრებს.

მისი თქმით, „აქციის ნაცვლად, უნდა მოემზადონ დიდი ეროვნული დღესასწაულისთვის, სადაც ზეიმით გააცილებენ „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებიდან“.

ვალერიან გობრონიძე: „ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში“

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ახალი ინიციატივის შესახებ, რომელიც 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციას ეხება, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ვალერიან გობრონიძე საუბრობს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 1-მილიარდიანი პროექტი უმნიშვნელოვანესია სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის.

– რასაკვირველია, 1-მილიარდიანი ინფრასტრუქტურა სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, იმიტომ, რომ ჩვენ დიდი ხანია ვმუშაობთ სკოლების რეაბილიტაციაზე, მათ მშენებლობა-აღჭურვაზე, თუმცა არის სკოლები საკმაო რაოდენობით, რომელზედაც კიდევ გვჭირდება სამუშაოების ჩატარება.

სწორედ ამ კუთხით მიმდინარეობს ინფორმაციის დამუშავება და სწორედ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ახალი ინიციატივის ფარგლებში მოხდება მუშაობის დაწყება ამ სკოლებში, სადაც ყველაზე უფრო მეტად გვჭირდება დახმარება.

ასე რომ, პროგრამის განხორციელების შედეგად უკვე ველით, რომ ყველა საჯარო სკოლა იქნება ინფრასტრუქტურულად გამართული, რეაბილიტირებული, ადაპტირებული შშმ პირებისთვის, კეთილმოწყობილი სპორტული მოედნებით... ასე რომ, ბუნებრივია, ეს ძალიან პოზიტიურად აისახება, ასევე, სასკოლო საზოგადოების საქმიანობაზე, – აცხადებს გობრონიძე საინფორმაციო სააგენტო პიარ ჯისთან.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სკოლების მიმართულებით, ბოლო 8-9 წლის განმავლობაში, 175 სკოლა აშენდა და 220-ზე მეტ სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მაგრამ მისივე თქმით, ეს არ არის საკმარისი.

– ჩვენ დღეს გვაქვს 800 სკოლა გასარემონტებელი, აქედან 80 ახალი სკოლის აშენება მოგვიწევს, 220 სკოლის სრული რეაბილიტაცია და დარჩენილის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. ჯამში 800 სკოლის მოწესრიგებას შეეხება აღნიშნული პროექტი.

ბიუჯეტი იქნება დაახლოებით მილიარდი ლარი და ჩვენ 800-ვე სკოლას, როგორც აღვნიშნე, ნაწილს გავარემონტებთ, ნაწილს ნაწილობრივ და 80 ახალ სკოლას ავაშენებთ მომდევნო 3 წლის განმავლობაში. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე.

ალეკო ელისაშვილი საქართველოში დაბრუნდა

დეპუტატი ალეკო ელისაშვილი უკრაინიდან საქართველოში დაბრუნდა. ამის შესახებ მაია სიხარულიძე წერს.

„დაბრუნდა აი, ასე, სიცოცხლით გარისკა, არც ამჯერად უღალატა საკუთარ თავს, ისტორიის სწორ მხარეს დადგა, ყველას შვილების თავისუფლებისთვის ბომბებისა და ტყვიების წვიმაში არ არის მთლად ნორმალური ჩემი ვერსიით, მაგრამ ყველა ქართველს რომ აწყობს ეგ ამბავი – ის შემთხვევაა.

რატომ? მახსოვს, მისი წასვლა რომ გავიგე, შიშით და სიამაყით გავსკდი ტირილით, იქამდე მერიდებოდა, ჩვენი ქვეყნის საჯარო პოზიციის გამო და ალეკო კი, როგორც რიგითი, ასე წავიდა ოკუპანტების ჩასახოცად, მაგრამ ჩემთვის ის ამ ქვეყნის პარლამენტის წევრი იყო ომში და ქვეყნის მაშინდელ პოზიციას წმენდდა ნამუსს.

მისი ომით მე უკრაინას მადლობას და ბოდიშს ვუხდიდი და კი მადლიერი ვარ, რომ ამის შესაძლებლობა მომცა მისმა სიგიჟეში გადასულმა სიმამაცემ!

მშვიდობით დაბრუნებას გილოცავ!“ – წერს მაია სიხარულიძე.

ლევან სილაგავა: „საქართველოში წისქვილკომბინატების დიდი რაოდენობა გაჩერებულია“

„საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორის ლევან სილაგავას განცხადებით, საქართველოში წისქვილკომბინატების დიდი რაოდენობა გაჩერებულია, დანარჩენი კი მცირე სიმძლავრეებით მუშაობს.

როგორც მან მედიაცენტრ „მთავარში“ განაცხადა, საჭიროა, რომ წისქვილკომბინატებმა აქტიურად იმუშაონ.

– დიდი წისქვილებიდან დაახლოებით 4 მუშაობს, „ბევრილი ჯგუფის“ ორივე წისქვილი გაჩერებულია თბილისში და ფოთშიც, მცირე წისქვილებიც ფაქტობრივად გაჩერებულია, დანარჩენი კი მცირე სიმძლავრეებზე მუშაობენ.

მცირე სიმძლავრეებზე იმიტომ მუშაობენ, რომ მოთხოვნა არის მცირე და მეორე, მუშაობენ იმისთვის, რომ შეინარჩუნონ მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, რომლის ამუშავების შემდეგ, აუცილებლად დასჭირდებათ, – განაცხადა სილაგავამ.

მან ხელისუფლებას მიმართა, რომ ხორბლის მარაგები შეიქმნას.

– დღეს მსოფლიოში არაორდინარული სიტუაციაა და ჩვენი აზრით, საჭიროა, სტრატეგიულად უფრო ფართოდ შეხედოს სახელმწიფომ ამას. წისქვილის მუშაობა ნიშნავს სამუშაო ადგილებს, არა მარტო ფქვილის გამოშვებას, ხორბლიდან გამომდინარე, არამედ ქატოს, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს საქართველოში დეფიციტური გახდა.

ეს ნიშნავს ბიუჯეტში შენატანს, იმიტომ, რომ წისქვილი როცა მუშაობს, თვეში დაახლოებით 5-6 მილიონი შედის, – განაცხადა სილაგავამ.

მისი განმარტებით, ქვეყნები უკვე ცდილობენ, რომ ხორბლის მარაგები შეიქმნან და სასურსათო უსაფრთხოების საკითხი უფრო მაღლა დააყენონ.

– მივმართავთ მათ შორის მთავრობას, ამ მხრივ გარკვეული გადაწყვეტილებები მიიღოს ისევე, როგორც ამას მსოფლიოს მრავალი ქვეყანა აკეთებს, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნები: ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, რომლებმაც თავიანი ხორბლის გატანა შეზღუდეს, – განაცხადა სილაგავამ.

მან განმარტა, რომ ხორბლის მარაგი მცირდება.

– ხორბლის მარაგები გარკვეულწილად შემცირებულია. დაახლოებით ერთი თვის ხორბლის მარაგია. ფქვილზე ამბობენ, რომ არის. სავარაუდოდ, არის, მაგრამ ალბათ, დიდხანს ასეთი სტრატეგიით მუშაობა არ შეიძლება, – აღნიშნა სილაგავამ.

მან რუსულ ბაზარზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ რუსეთიდან ძირითადად ფქვილი შემოდის.

– რუსეთიდან ხორბალი თითქმის არ შემოდის, ძირითადად ფქვილი შემოდის. ყველაზე კარგი რეცეპტი არის ადგილობრივი წარმოება, ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფა, – განმარტა სილაგავამ.

მისი განცხადებით, საქართველო ფასების მხრივ მსოფლიო ტრენდს მიყვება და ეს ძალიან დიდი გამოწვევაა.

როგორც ლევან სილაგავა აღნიშნავს, უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებულმა ომმა ამ თვალსაზრისით ბაზარზე ვითარება გაართულა.

იყალთოში პოლიციელს სცემეს

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში პოლიციელს სცემეს. გიორგი დედაბრიშვილს ფიზიკურად რამდენიმე პირი გაუსწორდა.

„ფორმულას“ ინფორმაციით, დაპირისპირებაში დაცვის პოლიციის ყოფილი თანამშრომელი გიორგი ღაჩაშვილიც მონაწილეობდა.

ნაცემი პოლიციელის მდგომარეობა სტაბილურია.

თვითმხილველების ინფორმაციით, ინციდენტი 17 აპრილს, დღის საათებში, დედაბრიშვილის სახლის წინ მოხდა.

„მთავარის“ ინფორმაციით, დაპირისპირების მიზეზი გახდა ის, რომ დედაბრიშვილმა რამდენიმე დღის წინ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, პირს ჯარიმა გამოუწერა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქმეზე 4 პირია დაკავებული.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით მიმდინარეობს, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ შსს-ს სასამართლოში უჩივის

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ 5 ივლისს დაზარალებული ჟურნალისტების უფლებების დასაცავად შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეაქვს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ხელმძღვანელის, ეკა გიგაურის განცხადებით, ორგანიზაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის მოვლენების დროს, „მთავარი არხის“, „ფორმულას“, „ტვ პირველის“ და ონ ჯის დაზარალებული 24 ჟურნალისტის უფლებების დასაცავად სარჩელით მიმართავს.

მისივე თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 ივლისის მოვლენების დროს, ჟურნალისტები ძალადობრივი ჯგუფების აგრესიისა და თავდასხმებისგან ვერ დაიცვა და მათი პროფესიული საქმიანობის შესრულებისთვის სათანადო პირობები ვერ უზრუნველყო.

– ამ სარჩელით მორალური ზიანის ანაზღაურებას ვითხოვთ და ასევე, ტელეკომპანიებს, რომელთა ტექნიკაც 5 ივლისის პერიოდში დაზიანდა, ამ ტექნიკის ანაზღაურებაც მოვითხოვოთ.

ჩვენ მზად ვართ, რომ ყველა ინსტანციის სასამართლოში ვიჩივლოთ და ეს საქმე განვიხილოთ და წავიდეთ სტრასბურში, თუ საჭირო იქნება, – განაცხადა ეკა გიგაურმა.

წყნეთში პოლიციელ ერიკ წურწუმიას 30 წლის ზურაბ გველესიანი შემოაკვდა

მსხვერპლით დასრულდა წყნეთში ჩატარებული სპეცოპერაცია – გარდაცვლილია 30 წლის ზურაბ გველესიანი, მოქალაქის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე კი თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მე-4 სამმართველოს უფროსი დეტექტივი ერიკ წურწუმია დააკავეს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მტკიცებით, დეტექტივს დაკავების ღონისძიებისას შემთხვევით გაუვარდა სამსახურებრივი იარაღიდან.

შემთხვევა მიმდინარე წლის 18 აპრილს მოხდა.

„წყნეთში, გუდიაშვილის ქუჩის მიმდებარედ, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მე-4 სამმართველოს უფროს დეტექტივს ნარკოტიკული საშუალების შესაძლო უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტთან დაკავშირებით შემთხვევის ადგილზე გამოცხადებისას, დაკავების ღონისძიების განხორციელების დროს, შემთხვევით გაუვარდა სამსახურებრივი იარაღიდან, რის შედეგადაც ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვალა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით აგრძელებს“ – ნათქვამია განცხადებაში.

თვითმხილველი წყნეთში, გუდიაშვილის ქუჩაზე მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გარკვეულ დეტალებზე საუბრობს.

როგორც მან „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მამაკაცი, რომელიც პოლიციელის, ერიკ წურწუმიას გასროლის შედეგად გარდაიცვალა, შემთხვევამდე რამდენიმე წუთით ადრე „მიწას თხრიდა, სადაც, სავარაუდოდ, ნარკოტიკულ საშუალებას ეძებდა“.

როგორც გუდიაშვილის ქუჩაზე არსებული ერთ-ერთი სახლის დაცვის თანამშრომელი აცხადებს, მოკლულს ტყვია გულის არეში ჰქონდა მოხვედრილი, გასროლამდე კი ხმაური არ გაუგია.

– გუშინ, დაახლოებით, 7-ის ნახევარზე მოხდა. აქ ტაქსით ამოსულა, ტაქსი ელოდებოდა. ეს ბიჭი ნაძვის ძირში მიწას ხელით თხრიდა. მე მგონი, თვითონ პოლიციელმა იპოვა ნარკოტიკი. ერთი გასროლის ხმა იყო, მერე გაივსო ტერიტორია პოლიციელებით.

გარდაცვლილს არანაირი იარაღი არ ჰქონია, მისი ქურთუკი ეგდო გვერდით, გაჩხრიკეს, საბუთებიც არ ჰქონდა, არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია. გულის არეში ჰქონდა ნასროლი, – აცხადებს თვითმხილველი.

პროკურატურამ ქუთაისის მერიის საქმიანობაზე გამოძიება დაიწყო

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ, ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე გამოძიება დაიწყო.

საუბარია აუდიტის სამსახურის დასკვნაზე, სადაც წერია, რომ მერიის და საკრებულოს მაღალჩინოსნები ხალხის ფულს სოციალური შემწეობების სახით იღებდნენ.

გარდა ამისა, დასკვნაში წერია, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე თანხები იხარჯებოდა, თუმცა სამუშაოები არაჯეროვნად სრულდებოდა.

პროკურატურა საქმეს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით იძიებს.

ენმ-ის წევრი გიგა შუშანია ამბობს, რომ „ოცნების“ მაღალჩინოსნები ბიუჯეტის თანხებს გუნდში ინაწილებენ.

– პროკურატურამ უკვე დაიწყო გამოძიება 2019-20 წლებში საკრებულოსა და ქუთაისის მერიის თანამშრომლების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე, რომელმაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს ინტერესს, მაგრამ აქ წერია თანამშრომლები და არ წერია პოლიტიკური თანამდებობის პირები, დღეს ქუთაისის მერი ცდილობს ყველას დააბრალოს, ლამის მთელი „ოცნების“ და მერიის დაჭერას ითხოვს, ოღონდ თვითონ გადაირჩინოს თავი, – თქვა გიგა შუშანიამ.

შუშანია ითხოვს, მუხლი გადაკვალიფიცირდეს და მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

„ოცნების“ წევრებმა „მთავარი არხის“ კითხვებს არ უპასუხეს.

დიდი ოდენობით სხვისი ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ორი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების, ჯგუფურად დიდი ოდენობით სხვისი ქონების თაღლითურად დაუფლებისა და დაუფლების მცდელობის ფაქტზე, ორი პირი დააკავეს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კომპანიის საკუთრებაში რიცხული, კახეთის რეგიონში მდებარე, ჯამში 850.000 ლარზე მეტი ღირებულების სამი ერთეული მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლების მიზნით, თითქოსდა ინდოეთის დედაქალაქ დელიში გაცემული მინდობილობები და საქართველოში შედგენილი კომპანიის პარტნიორთა კრების ოქმი გააყალბეს, რომლის საფუძველზეც ერთ-ერთი მიწის ნაკვეთი გაასხვისეს, ხოლო დარჩენილი ორი მიწის ნაკვეთის გასხვისება სხვა პირზე სცადეს.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, მიწის ნაკვეთები დაყადაღებულია.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებები ტარდება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 (19), 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

ქუთაისში სუპერმარკეტი გახსნიდან მეორე დღესვე გაძურდეს

ქუთაისში სუპერმარკეტი „ფემილი“ გახსნიდან მეორე დღესვე გაძურდეს. შემთხვევა ახალგაზრდობის გამზირზე, გვიან ღამით მოხდა.

მაღაზიის მეპატრონის ინფორმაციით, წაღებულია მხოლოდ სიგარეტი.

„მთავარმა არხმა“ დანაშაულის ამსახველი ვიდეო კადრები მოიპოვა, სადაც ჩანს, რომ მასში სამი მოზარდი ფიგურირებს.

უცნობი პირები ქვით სუპერმარკეტის მინას ამსხვრევენ და სავაჭრო ობიექტიდან სიგარეტის რამდენიმე შეკვრა გააქვთ.

მომხდარზე გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესები იცვლება

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებული ვადები, შესაძლოა, გახანგრძლივდეს. ამასთან, იცვლება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის შეტყობინების წესიც.

ამასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების პროექტი მოამზადეს, რომელიც ბიუროს 18 აპრილის სხდომაზე წარედგინა.

მოქმედი კანონის გათვალისწინებით, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება იმ ვადით გაიცემა, რომელიც საჭიროა გამოძიების მიზნის მისაღწევად, მაგრამ არაუმეტეს ერთი თვისა. იმ შემთხვევაში, თუ ეს ვადა საკმარისი არ აღმოჩნდა, დასაშვებია მისი გაგრძელება პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლის განჩინებით, არაუმეტეს ორი თვისა.

პროკურორის შუამდგომლობაში უნდა აისახოს ინფორმაცია დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესახებ და მიეთითოს, რის გამო ვერ მოხერხდა გამოძიებისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შეიძლება კიდევ ერთხელ, არაუმეტეს 3 თვისა გაგრძელდეს, გენერალური პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

როგორც ინიციატორები განმარტავენ, კანონის აღნიშნული ნორმა სასამართლო პრაქტიკაში არასწორი განმარტების საგანი გახდა. კანონის პროექტის განმარტებით ბარათში ხაზგასმულია, რომ იგი განიმარტება გაუმართლებლად შეზღუდულად და არა კანონმდებლის მიერ მასში მოაზრებული ნამდვილი შინაარსის შესაბამისად.

„კერძოდ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ისეთ დანაშაულებთან დაკავშირებით ჩატარების საკმარის ვადად, როგორებიც არის, მაგალითად: ტერორიზმი, საბოტაჟი, ომის დანაშაული და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა მძიმე დანაშაულები, პრაქტიკაში მიჩნეულ იქნეს 3-თვიანი მაქსიმალური ვადა მაშინ, როცა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მაქსიმალური ვადა, კანონის თანახმად, სინამდვილეში 6 თვეა“ – ვკითხულობთ პროექტის განმარტებით ბარათში.

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტით, დგინდება, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საერთო ვადა შეადგენს არაუმეტეს 9 თვეს და ის სამ ეტაპად ტარდება, გარდა „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით“ გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევებისა.

კერძოდ, ფარული საგამოძიებო მოქმედება პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით პირველ ეტაპზე ტარდება არაუმეტეს 3 თვის ვადით, მეორე ეტაპზე – ზემდგომი პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით არაუმეტეს 3 თვის ვადით, ხოლო მესამე ეტაპზე – გენერალური პროკურორის ან მისი პირველი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით არაუმეტეს 3 თვის ვადით.

ამასთან, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა გენერალური პროკურორის ან მისი პირველი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული მოსამართლის განჩინებით შეაძლოა კიდევ ერთხელ გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვის ვადით, თუ ფარული საგამოძიებო მოქმედება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტარდება.

გარდა ამისა, თუ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 142-ე, 142/1, 143-ე – 143/2, 144-ე – 144/3, 155-ე, 157/1, 194-ე, 194/1, 223-ე – 226-ე, 230-ე – 232-ე, 234-ე – 235/1, 239/1, 252-ე, 255-ე მუხლის მე-3-მე-7 ნაწილებით, 255/1, 260-ე მუხლის მე-4 – მე-7 ნაწილებით, 261-ე მუხლის მე-4 – მე-8 ნაწილებით, 262-ე, 263-ე, 284-ე, 308-ე – 321/1, 322/1 – 333-ე, 337-ე-339-ე, 341-ე, 342-ე, 343-ე, 343/1, 345-ე, 346-ე, 404-ე – 413-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მიმდინარეობს, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა, სასამართლოს კონტროლით, შეაძლოა იმდენჯერ გაგრძელდეს, რამდენჯერაც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად საჭირო შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი იარსებებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის შეტყობინებას ეხება. მოქმედი წესის მიხედვით, სათანადო ორგანომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაცია 24 თვის ვადაში იმ პირს უნდა შეატყობინოს, რომლის მიმართაც ფარული საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა.

„ვინაიდან აღნიშნული წესი არანაირ გამონაკლისს არ ითვალისწინებს, შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევებში ისეთი ვითარება შეიქმნას, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის ასეთ მცირე დროში შეტყობინებამ საგამოძიებო ორგანოს ფუნქციონირების ეფექტიანობას საფრთხე შეუქმნას და სახელმწიფო უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი არსებითად დააზიანოს“ – ვკითხულობთ კანონის პროექტის განმარტებით ბარათში.

საკანონმდებლო ცვლილებებით, თუ ფარული საგამოძიებო მოქმედება „სისხლის სამართლის კოდექსის“ – 108-ე, 109-ე, 142-ე, 142/1, 143-ე – 143/2, 144-ე – 144/3, 155-ე, 157/1, 194-ე, 194/1, 223-ე – 226-ე, 230-ე – 232-ე, 234-ე – 235/1, 239/1, 252-ე, 255-ე მუხლის მე-3 – მე-7 ნაწილებით, 255/1, 260-ე მუხლის მე-4 – მე-7 ნაწილებით, 261-ე მუხლის მე-4 – მე-8 ნაწილებით, 262-ე, 263-ე, 284-ე, 308-ე – 321/1, 3221 – 333-ე, 337-ე – 339-ე, 341-ე, 342-ე, 343-ე, 343/1, 345-ე, 346-ე, 404-ე – 413-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით ჩატარდა, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის იმ პირისთვის შეტყობინება, რომლის მიმართაც იგი ჩატარდა, შესაძლოა იმდენჯერ გადავადდეს, რამდენჯერაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის, საზოგადოებრივ წესრიგისა და საგამოძიებო ორგანოს ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის საფრთხის შექმნის თავიდან ასაცილებლად.

ამ შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის შეტყობინება, სასამართლოს კონტროლის საფუძველზე, ყოველ ჯერზე შესაძლოა გადავადდეს არა უმეტეს 12 თვის ვადით.

პროექტის ინიციატორები არიან დეპუტატები: ირაკლი ბერაია, ალექსანდრე ტაბატაძე, ვლადიმერ ჩაჩიბაია, რესან კონცელიძე, გია ბენაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, ეკა სეფაშვილი, რატი იონათამიშვილი, გიორგი ხელაშვილი და კახა კახიშვილი.

ზელენსკი: „მარიუპოლში მყოფი სამხედროები რუსეთს არ ჩაბარდებიან“

– ალყაშემორტყმულ ქალაქ მარიუპოლში მყოფი უკრაინელი სამხედროები რუსეთს არ ჩაბარდებიან.

ამის შესახებ განცხადება უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ გააკეთა.

როგორც ზელენსკიმ სიენენთან ინტერვიუში განაცხადა: „ისინი აცხადებენ, რომ მზად არიან გაუშვან ყველა სამხედრო, თუ ისინი ჩაბარდებიან. მაგრამ ისინი დანებებას არ აპირებენ. მათ არ სურთ ამის გაკეთება და ამიტომ არის რთული და ტრაგიკული სიტუაცია, რადგან სამხედროებს არ სურთ დანებება“.

ზელენსკის თქმით, არ სჯერა რუსეთის, რომ ისინი ადამიანებს მარიუპოლიდან უვნებლად წასვლის საშუალებას მისცემენ.

– რასაც რუსები გააკეთებენ, არის ის, რომ დახვრეტენ მათ, ამიტომ ახლა რუსეთს არავინ ენდობა, – აღნიშნა ზელენსკიმ.

მისი თქმით, უკრაინას მარიუპოლიდან დაჭრილების გაყვანა სურდა, მაგრამ რუსულმა ძალებმა ამის საშუალება არ მისცეს.

– ჩვენ გვინდოდა დაჭრილების წაყვანა. ვისაუბრეთ იმაზე, რომ ეს ჰუმანიტარული მისიაა: დაგვიბრუნეთ დაჭრილები. ისიც კი დავგეგმეთ, რომ თურქეთი შუამავალი ყოფილიყო და დაჭრილები, მშვიდობიანი მოსახლეობა და სამხედროები მიგვეღო. ისინი არ უშვებენ მათ, რადგან გვესმის, რომ რუსეთს მხოლოდ მათი დახვრეტა სურს, – განაცხადა ზელენსკიმ.

„რუსეთმა ომის ახალი ეტაპი დაიწყო“

„აშკარაა, რომ რუსეთმა ომის ახალი ეტაპი დაიწყო“ – ამის შესახებ „ბელინგქეთის“ დამფუძნებელი ხრისტო გროზევი ტვიტერში წერს.

„ხარკოვსა და ნიკოლაევში მასშტაბური დაბომბვა დაფიქსირდა, ისევე, როგორც ლუგანსკსა და დონეცკში უკრაინის უმეტეს პოზიციებზე. აშკარაა, რომ რუსეთმა ომის ახალი ეტაპი დაიწყო – მხოლოდ ერთი ფრონტით, რომელიც ორიენტირებულია აღმოსავლეთ უკრაინაზე“ – დაწერა ხრისტო გროზევმა.

პრეზიდენტმა ზელენსკიმ განაცხადა, რომ „რუსულმა ძალებმა დონბასისთვის ბრძოლა დაიწყეს“.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის თქმით კი, უკრაინაში „ომის მეორე ეტაპი დაიწყო“.

რუსებმა ხერსონის დროებით ოკუპირებული ტერიტორიიდან ნიკოლაევი დაბომბეს.

აშშ-ის ფინანსთა მინისტრი მოსკოვზე მეტ ფინანსურ ზეწოლას გეგმავს

შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი ჯანეტ იელენი, სავარაუდოდ, ლობირებას გაუწევს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წევრებს, რათა ფინანსური ზეწოლა გააძლიერონ მოსკოვზე.

ამის შესახებ ბიბისი იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის ფინანსთა მინისტრი რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის პროტესტის ნიშნად, ამ კვირაში დაგეგმილ „დიდი ოცეულის“ ფინანსური შეხვედრის სესიებს გამოტოვებს.

გარდა ამისა, აშშ-ის ფინანსთა დეპარტამენტის ცნობით, იელენი სასურსათო უსაფრთხოების კრიზისზე, რომელიც რუსეთის უკრაინაში შეჭრით გამწვავდა, საერთაშორისო რეაგირების განსახილველად პანელს მოიწვევს.

„გაზპრომბანკის“ ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ოჯახის წევრები დახოცა და თავი მოიკლა

„გაზპრომბანკის“ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი და მისი ოჯახის წევრები გარდაცვლილები იპოვეს.

გამოძიების ინფორმაციით, 51 წლის ვლადისლავ ივაევმა ჯერ მეუღლე მოკლა, შემდეგ – ქალიშვილი და ბოლოს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სამართალდამცავთა თქმით, სახლის კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი.

ბინაში უცხო პირის შეღწევის ან კარის გატეხვის კვალი არ აღინიშნება. ამიტომაც მკვლელობის მიზეზად მოსკოვის პროკურატურა საყოფაცხოვრებო კონფლიქტს ასახელებს.

ქაბულში აფეთქებებს სულ მცირე 6 ადამიანი ემსხვერპლა

ავღანეთის დედაქალაქ ქაბულის ერთ-ერთ სკოლასთან მომხდარ აფეთქებებს სულ მცირე 6 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ინფორმაციას როიტერი ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, თავდასხმის შედეგად დაშავებულია 11 ადამიანი, მათ შორის, ბავშვები.

– სამი აფეთქება მოხდა. სკოლაში არის მსხვერპლი, – განაცხადა ქაბულის მეთაურის პრესსპიკერმა ხალიდ ზადრანმა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არავის აუღია.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ

ოლეგ ბასილაშვილი: „ხალხს გულაგის გარეშეც უყვარს ბელადი“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

საშინელებაა საბჭოთა წყობის ადამიანი, რომელიც გამოჭიმულია უცხოურ მანქანაში უცხოური ტანსაცმლით, ევროპაში ისვენებს და თან სძულს დასავლეთი. მახსოვს, საბჭოთა წყობის დროს ხელისუფლება კერძო სახლების მეპატრონეებს ავალდებულებდა არდადეგებზე წითელი დროშა დაეკიდათ. თუ არ დაკიდებდნენ, უსიამოვნებები არ ასცდებოდათ.

ახლა არავინ არავის აიძულებს „კოლორადოს“ ლენტი მიამაგროს საკუთარ მანქანაზე, მაგრამ ყველა ამაგრებს და ამას თავად აკეთებს, თან ვერ ამჩნევს, რამდენად ორაზროვანი და თუნდაც კომიკურია ეს „გამარჯვების სიმბოლო“ მერსედესზე ან ფოლკსვაგენზე.

ეს ახლანდელი ნებაყოფლობითი ნეოსტალინიზმი, ნებაყოფლობითი უარის თქმა თავისუფლების შესაძლებლობაზე, ბევრად უფრო საშინელია 30-იანი წლების ატმოსფეროზე. ეს სრული დეგრადაციის ნიშანია – შესაძლოა უკვე შეუქცევადისაც. რუსულ ენაში არის სიტყვა „ხალხი“ (ლიუდი) და სიტყვა „ნაძირლები“ (უბლიუდკი).

როგორც ხედავთ, ისინი ერთმანეთის მსგავსი. თუმცა, ამ სიტყვების მნიშვნელობა სრულიად განსხვავებულია. ფუძეებიც კი სხვადასხვაა – „ლიუდ“ და „ბლიუდ“. ამ ორ სიტყვას თითქოს ერთნაირი ჟღერადობა აქვს, მაგრამ უზარმაზარი განსხვავებაა. ზუსტად იგივე, რაც 30-იანი წლების რუსებს და ჩვენ, ახლანდელ რუსებს შორის. მაშინ, 30-იან წლებში, ჯერ კიდევ იყო ხალხი.

ე.წ. „პერესტროიკის“ დასაწყისი აღმოჩნდა თენგიზ აბულაძის საკულტო ფილმი „მონანიება“. ფაქტობრივად, მისგან დაიწყო სტალინიზმის კრიტიკა. ამ ფილმის მთავარი აზრი საზოგადოებამ ვერ აღიქვა, მაშინ ის ძალიან რადიკალური და ნიჰილისტურიც კი ჩანდა – შვილი ტირანი მამის გვამს საფლავიდან ამოთხრის და მთიდან სადღაც სამყაროში – ქარში, მარადიულ სირცხვილში გადააგდებს.

ოჰ, მაშინ, ფილმის ეკრანებზე გამოსვლის დროს, ბევრი განაწყენდა! ფილმი გახდა ერთგვარი ტესტი საზოგადოებისთვის, თუ რამდენად მზად იყო იგი ცვლილებებისთვის, აღორძინებისთვის. ფილმში ჩადებული იყო გზავნილი, რომელიც საზოგადოებამ ვერ გაიგო. ის კი ასე ისმოდა: ჩვენ გადაგვარჩენს მხოლოდ ცვლილებები და სიბინძურის რადიკალური უარყოფა.

მაგრამ ასე არ მოხდა. სიტყვამ „მონანიება“ საზოგადოებაში გაღიზიანება და გაბოროტება გამოიწვია. სინანულისკენ მოწოდებები ეროვნული და პიროვნული ღირსების შეურაცხყოფად იქნა აღქმული: „ვისთან მოვინანიოთ?! ვის წინაშე? დიახ, ჩვენ ყველანი ფაშიზმისგან გადავარჩინეთ!“

ამ თემის გვირგვინია „ჩვენი ყირიმი“. დასრულებული ისტორიული ციკლი: ფილმიდან „მონანიება“ ფილმამდე „გზა სახლისკენ“. ჩვენ სამშობლოში დავბრუნდით. ვიღაცამ, თენგიზ აბულაძის ფილმის გახსენებისას, თქვა, რომ ტირანის სუნიანი ცხედარი კვლავ ძველ კვარცხლბეკზე დააბრუნეს. ჩვენმა თანამედროვეებმა ეს ნახევრად გახრწნილი გვამი საკუთარ სახლში მიათრიეს და ოჯახის წევრებთან ერთად სუფრასთან დასვეს. მის კომპანიაში ჩაის სვამენ. მორჩილად საუბრობენ მასთან, რჩევებს ეკითხებიან. და თუ ცხედარს მოულოდნელად თავი ჩამოუვარდება, ბოდიშის მოხდით კვლავ თავის ადგილზე აბრუნებენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რაგბის კავშირს ევროპელი ჩინოსნები სტუმრობდნენ

რაგბი ევროპის აღმასრულებელი დირექტორი ფლორან მარტი და თურქეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი მურატ პაზანი ავჭალაში შავი ლომისა და ესპანური იბერიანსის თამაშს დაესწრნენ. გარდა ამისა, სტუმრებმა რაგბის კავშირის ხელმძღვანელობასთან ოფიციალური შეხვედრები გამართეს და როგორც მიმდინარე საკითხებზე, ასევე სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

ბაჩო ხურციძე, რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი:

– ფლორან მარტს ჩემ გარდა ჰქონდა შეხვედრები რაგბის კავშირის პრეზიდენტთან იოსებ ტყემალაძესთან, გამგეობის თავმჯდომარე დავით კაჭარავასთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან. გავაცანით ქართულ რაგბში ყველა მიმართულებით მიმდინარე პროცესები. ასევე ვისაუბრეთ ახლად დაარსებული ტურნირის, რაგბი ევროპის სუპერ თასის სამომავლო პერსპექტივებზე.

როგორც იცით, მომავალი სეზონიდან 12 გუნდამდე გაფართოვება იგეგმებოდა, მაგრამ რუსული კლუბების მოკვეთის შემდეგ, 2 ვაკანტური ადგილი გაჩნდა. ამ პოზიციის შესავსებად უკვე გამოჩნდნენ კანდიდატები. ტურნირის განვითარების კუთხით რამდენიმე ვარიანტი არსებობს და ჩემი აზრით, უკვე საინტერესო სუპერ თასი, მომავალში კიდევ უფრო უკეთესი გახდება. ასევე ვისაუბრეთ მარკეტინგულ მიმართულებაზე, რათა სუპერ თასი ფინანსურადაც მიმზიდველი გახდეს.

მურატ პაზანის ქართული ფესვები აქვს, ენერგიული და მონდომებული კაცია. მასთან კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. გია ჭუმბურიძემ და პალიკო ჯიმშელაძემ თურქ მწვრთნელებთან პროდუქტიული ტრენინგი ჩაატარეს. მურატს ყოველთვის სურდა საქართველოში ჩამოსვლა და მაღალი დონის თამაშზე დასწრება. ვისაუბრეთ 7-კაცას და 7-ქალას ერთობლივი შეკრებების შესაძლებლობაზე თურქეთში, სადაც ძალიან კარგი პირობები აქვთ და ფინანსური კუთხითაც საინტერესოა.

ჩვენ, როგორც განვითარებული სარაგბო ქვეყანა და რეგიონალური ლიდერი, ვალდებულებიც ვართ მეზობლებს დავეხმაროთ. შევთანხმდით, რომ მომავალში ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

18 აპრილი
ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

მიდსლბრო-ჰადერსფილდი	0:2
ბარნსლი-პიტერბრო	0:2
ბლექბერნი-სტოკი	0:1
ბლექპული-ბირმინგემი	6:1
კარდიფი-ლუთონი	0:1
ქოვენთრი-ბორნმუთი	0:3
ქარ-დერბი	1:0
მილუოლი-ჰალი	2:1
რედინგი-სუონსი	4:4
ბრისტოლი-შეფილდი	1:1
ნოტინგემი-ვესტ ბრომვიჩი	4:0

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

ბარსელონა-კადისი	0:1

სატუნინიო ცხრილი:

1.რეალი	32	23	6	3	66-28	75
2.ბარსელონა	31	17	9	5	60-32	60
3.სევილია	32	16	12	4	46-25	60
4.ატლეტიკო	32	18	6	8	59-39	60
5.ბეტისი	32	17	6	9	56-37	57
6.სოსიედადი	32	15	10	7	32-30	55
7.ვილიარეალი	32	13	10	9	51-31	49
8.ბილბაო	32	11	12	9	36-32	45
9.ოსასუნა	32	12	8	12	33-41	44
10.ვალენსია	32	10	12	10	44-46	42
11.სელტა	32	10	9	13	36-35	39
12.ესპანიოლი	32	10	9	13	37-44	39
13.ელჩე	32	9	8	15	35-44	35
14.რაიო	31	9	7	15	32-38	34
15.ხეტაფე	32	7	11	14	29-37	32
16.კადისი	32	6	13	13	27-43	31
17.გრანადა	32	6	11	15	36-56	29
18.მალიორკა	32	7	8	17	27-53	29
19.ლევანტე	32	5	10	17	39-62	25
20.ალავესი	32	6	7	19	25-53	25

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხირონა-სოსიედადი ბ	2:0

იტალია. სერია ა

ნაპოლი-რომა	1:1
ატალანტა-ვერონა	1:2

სატუნინიო ცხრილი:

1.მილანი	33	21	8	4	58-29	71
2.ინტერი	32	20	9	3	68-25	69
3.ნაპოლი	33	20	7	6	59-27	67
4.იუვენტუსი	33	18	9	6	50-29	63
5.რომა	33	17	7	9	54-37	58
6.ლაციო	33	16	8	9	65-48	56
7.ფიორენტინა	32	17	5	10	53-40	56
8.ატალანტა	32	14	9	9	54-38	51
9.ვერონა	33	13	9	11	58-50	48
10.სასუოლო	33	12	10	11	58-53	46
11.ტორინო	32	10	10	12	36-31	40
12.უდინეზე	31	9	12	10	47-49	39
13.ბოლონია	32	10	8	14	35-45	38
14.ემპოლი	33	8	10	15	42-60	34
15.სპეცია	33	9	6	18	33-57	33
16.სამპდორია	33	8	5	20	40-56	29
17.კალიარი	33	6	10	17	31-61	28
18.ჯენოა	33	2	16	15	24-54	22
19.ვენეცია	32	5	7	20	26-58	22
20.სალერნიტანა	31	4	7	20	25-69	18

იტალია. სერია ბ

სპალი-კროტონე	1:1
ვიჩენცა-პერუჯა	1:2
კრემონეზე-კოზენცა	3:1
პორდენონე-ბენევენტო	1:4
რეჯინა-ლეჩე	1:0
პარმა-ასკოლი	0:1
პიზა-კომო	3:1
ტერნანა-ფროზინონე	4:4
ჩიტადელა-ალესანდრია	1:2
მონცა-ბრეშა	1:1

პორტუგალია. პირველი ლიგა

ეშტორილი-ბრაგა	0:0

ბელგია. თასი ფინალი

გენტი-ანდერლეხტი	0:0 (4:3პ)

თურქეთი. სუპერლიგა

გალათასარაი-მალათია	2:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუცერნი-სტ.გალენი	3:2
ლოზანა-ლუგანო	4:1
სიონი-ბაზელი	0:0

პორონეთი. ექსტრაჯერასა

კრაკოვია-ზაგლებიე	1:0
სლასკი-ვისლა	1:1
გურნიკი-ლეხია	1:3
ლეგია-პიასტი	0:1

დანია. სუპერლიგა

კოპენჰაგენი-ბრონდბიუ	2:0
მიდტიულანდი-ოლბორგი	2:0
ვეილე-ნორდსიელანდი	0:0
სონდერიისკე-ორხუსი	2:1

ნორვეგია. ელიტასერია

ერვი-კრისტიანსუნდი	1:0
მიოლდე-ლილესტრიომი	1:2
ოდი-ვიკინგი	2:1
ალესუნდი-ტრომსო	2:2
სარპსბორგი-რუსენბორგი	1:1
ჰამ კამი-სანდერფიორდი	3:0
ჰაუგესუნდი-სტრომგოდსეტი	0:1
ბოდო-ვალერენგა	5:1

კვარაცხელიას დუბლი და უხვგოლიანი მატჩი ბათუმში

დინამო (ბთ)-გაგჩა 5:2

ბათუმი. აჭარაგბეთ არენა

1:0 ფლამარიონი (4), 2:0 კვარაცხელია (7), 2:1 შონია (11), 3:1 კვარაცხელია (27), 4:2 ბუხაიძე (80), 5:2 რადინი (86)

დინამო: ალავიძე, ჩაბრაძე, მ.კობახიძე, აზაცკი, აზაროვი, ფალავანდიშვილი (რადინი 72), ალთუნაშვილი (ტეიდი 64), მამუჩაშვილი, ბიძინაშვილი (დავითაშვილი 64), კვარაცხელია (ლობჟანიძე 72), ფლამარიონი (ზარია 82)

გაგრა: ქურდაძე, ქობულაძე, კვირკველია, ნოზაძე, ხოსიტაშვილი, სულთანიშვილი (ბუხაიძე 73), შეწირული, კვირკვია (ფარულავა 73), შონია (ვეკუა 58), ხაბელაშვილი (ჩოგაძე 58), ვაწაძე

ჩემპიონატის ლიდერმა ზღვისპირელებმა 5:2 მოუგეს გაგრას. საინტერესოა, რომ ამ სეზონში ყველაზე უხვგოლიანი მატჩი გამოდგა, ანუ პირველად გავიდა 7 გოლი. აქედან 3 გატანილი ბურთი საწყის 10 წუთში ვნახეთ.

ხვიჩა კვარაცხელიამ ეროვნულ ლიგაში დაბრუნების მერე პირველი გოლები გაიტანა – დუბლი შეასრულა. 2-ვე ძალიან მაგარი. ასევე 2 ბურთი გაიტანა ჯოვინო ფლამარიონმაც. ბათუმელთაგან კიდევ ერთი გოლი მილან რადინის ანგარიშზეა.

აღვნიშნოთ ისიც, რომ ზურიკო დავითაშვილს ბათუმელთა გუნდში დებიუტი ჰქონდა.

გაგრას გოლებს რაც შეეხება, თეიმურაზ შონიამ და გიორგი ბუხაიძემ მოახერხეს მასპინძელთა კარის აღება.

დიღა-თელავი 2:1

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

0:1 თევზაძე (62), 1:1 გონსალვესი (64), 2:1 მადინგა (85)

დიღა: კანევცევი, ჩიტეიშვილი, ჭიჭინაძე, სანტოსი, ტავარეში (ლომთაძე 75), მაქაცარია (მადინგა 59), ნონდი, გომისი (დრამე 59), გაგნიძე, გონსალვესი (ივანიაძე 90), სილვა

თელავი: სანიკიძე, ც.კაპანაძე (პარკინაშვილი 30), მარაქველიძე, ზ.თევზაძე, ქანთარია, პავიშიჩი, აშორტია (ფირანაშვილი 55), გოშთელიანი (ხაბულიანი 72), ჯიქია, მუჯირი (ქოჩლაძე 55), თოლორდავა

გორის დიღამ შინ თელავს 2:1 მოუგო. ეს დიღას მე-6 გამარჯვებაა სეზონში და აქედან 4 შემთხვევაში 2:1. ანდრეი დემჩენკოს გაწვრთნილი გუნდი მე-2 ადგილზეა.

არადა, თავიდან თელავი ზურაბ თევზაძის გოლით იგებდა, მაგრამ ვაგნერ გონსალვესმა მალევე გაათანაბრა, ხოლო ბოლო წუთებზე მალაველმა ფრანცისკო მადინგამ გადამწყვეტი ბურთი მიითვალა.

საინტერესოა, რომ ვაგნერ გონსალვესმა გატანა ზედიზედ მე-3 მატჩში მოახერხა.

თელავს 6-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს. არადა, საწყის 2 ტურში გაიმარჯვა.

დინამო-სამგურალი 0:0

თბილისი. დინამო არენა

დინამო: პრიეტო, მალი (სხირტლაძე 82), კალანდაძე, მექვაბიშვილი, მოისწრაფიშვილი, ბილენკი (გაბედავა 65), პაპავა (თ.კირკიტაძე 65), ბენიო, სტეფენი (ხარაბაძე 46), კამარა, ანტილევსკი (მაისურაძე 82)

სამგურალი: ქვილითაია, პატარკაციშვილი, გილმორი (ბურჯანაძე 73), ს.კუხიანიძე, ჩიხლაძე (ი.ახვლედიანი 73), რუხაძე (სიმდიანკინი 90), კალანდარიშვილი, ა.ვერულიძე (ჯერალდო 68), ქურდაძე, მ.ბაშელეიშვილი, კიკაბიძე

თბილისის დინამოსთვის სამგურალი უხერხულ მეტოქედ იქცა. წყალტუბოელებმა წინა სეზონის მსგავსად არაფერი დაუთმეს ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბს და 0:0 ითამაშეს.

დინამოს, რომელსაც პრეტენზიები ჩემპიონობაზე აქვს, მცირე ჩავარდნა დაუფიქსირდა – გუნდს ზედიზედ 3 ფრე მოუგროვდა და მე-3 ადგილზეა.

საბუთალო-ლოკომოტივი 3:1

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 ანდრონიკაშვილი (ესკ), 2:0 სიხარულიძე (61), 2:1 დარცმელია (68), 3:1 სიხარულიძე (90)

85-ე წუთზე იური ტაბატაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (ააცილა)

საბურთალო: გოშაძე, ჯგერენაია, ი.ტაბატაძე, ქარდავა, გულიაშვილი (გ.მამაგეიშვილი 90), შინდაგორიძე (ო.მამაგეიშვილი 67), კაკუბავა, ქავთარაძე (ლ.ნონიკაშვილი 67), სიხარულიძე, გოჩოლეიშვილი, მიოჩი

ლოკომოტივი: თევდორაძე, აწყურელი, ანდრონიკაშვილი, სამურკასოვი (ხუციშვილი 65), შეყილაძე (კეკელიძე 46), დარცმელია, მუკბანიანი (ომარაშვილი 75), ჭიაბრიშვილი, ძებნიაური, ხარაიშვილი, ქველაძე

გაძევება: აწყურელი (84)

თბილისურ დერბიში საბურთალომ 3:1 მოუგო ლოკომოტივს, რომელსაც ჯერ ქულა არ აქვს. ლევან კორღალიძის გაწვრთნილმა საბურთალომ კი, მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

საწყის წუთებში ლოკომოტივის მცველ ალექსანდრე ანდრონიკაშვილს საკუთარ კარში აეჭრა ბურთი. საბურთალოდან დანარჩენი 2 გოლი კი, ექსლოკომოტიველმა ირაკლი სიხარულიძემ გაიტანა. სიხარულიძე ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა – 6 გოლი აქვს.

ლოკომოტივიდან ერთადერთი ბურთი ბექა დარცმელიამ მიითვალა.

სიონი-ტორპედო 1:1

გოლნისი. თამაზ სტეფანია

1:0 ნ.ხორხელი (8), 1:1 კილასონია (43სკ)

სიონი: ისიანი, ჯაფიაშვილი, კილასონია, ლ.ხორხელი, ნ.ხორხელი (ო.კობახიძე 85), მაჩაიძე, კორიფაძე, ფოცხვერია, ჩუკვურა, თ.ტაბატაძე, ზურაბიანი (კობერიძე 58)

ტორპედო: ჰამზიჩი, ვ.ტაბატაძე, მირცხულავა, ცინცაძე (ძარია 90), პაპუნაშვილი (მჭედლიძე 77), შულაია, მანჯგალაძე (ვაჩიბერაძე 77), სანდოხაძე, არაბიძე, ბუღრიძე (არველაძე 63), ბოჭორიშვილი

ბოლოსწინა ადგილზე მყოფმა სიონმა შინ ფრედ ითამაშა ქუთაისის ტორპედოსთან – 1:1.

2-ვე გოლი პირველ ტაიმში გავიდა: დასაწყისში ნიკა ხორხელმა წინ გაიყვანა მასპინძლები, ხოლო ტაიმის ბოლოს ტორპედომ გაათანაბრა – ბოლნისელთა მცველ ვარლამ კილასონიას საკუთარი კარისკენ აეჭრა ბურთი.

გუნდებმა წაუგებელი სერია გაგრძელეს. სიონს 3-მატჩიანი სერია აქვს, ტორპედოს – ოთხმატჩიანი.

სატუნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	8	6	1	1	21-6	19
2.დიღა	8	6	0	2	13-7	18
3.დინამო (თბ)	8	4	3	1	11-7	15
4.საბურთალო	8	3	3	2	13-10	12
5.ტორპედო	8	3	2	3	8-11	11
6.თელავი	8	2	4	2	7-6	10
7.სამგურალი	8	2	4	2	8-8	10
8.გაგრა	8	2	2	4	10-14	8
9.სიონი	8	1	3	4	8-15	6
10.ლოკომოტივი	8	0	0	8	5-20	0

შერმადინს საუკეთესოობაა ბოლო წუთზე წაართვეს

გიორგი შერმადინმა მორიგი მაგარი მატჩი ჩაატარა და ესპანეთის ჩემპიონატის ტურის საუკეთესო კალათბურთელობას წუთი დაკლდა. ქართველს ტურის ბოლო მატჩის ბოლო წუთზე მანრესელმა ჯო ტომასონმა აჯობა.

ტენერიფემ სტუმრად უნიკახა 97:64 გაანადგურა და ქართველი ცენტრი ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

მიუხედავად დიდი სხვაობისა, ტენერიფელთათვის სტუმრად გამარჯვება იოლად არ მოსულა. გადამწყვეტი აღმოჩნდა ბოლო პერიოდი, რომელშიც ტენერიფელებმა 27:7 დაამარცხეს შერმადინის ყოფილი კლუბი და ჩემპიონატში მე-19 გამარჯვებას უწიეს.

ქართველმა ცენტრმა ისევ ფანტასტიკური შედეგიანობა გამოავლინა. წინა ტური მან 23 წუთში 24 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა, ამჯერად კი 21 წუთში თავი 19 ქულასა და 9 მოხსნას მოუყარა. მისი გამჩერებელი არავინ

მოიძებნა – 11-დან 9 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო. ჩაროზად შერმადინს თითო პასი, ჩაჭრა და დაფარება ჰქონდა, ხოლო სარგებლიანობის ინდექსით (30) შერმადინს ვერავინ მიეკარა.

19 მოგებითა და 6 მარცხით ტენერიფე ცხრილის მე-3 საფეხურამდე აღზევდა და მის წინ მხოლოდ ესპანური გრანდები – ბარსელონა და რეალია. შემდეგ ტურში ტენერიფე სწორედ ბარსას ეთამაშება. თამაში კატალონიაში გაიმართება.

იტალიურმა ბოლონიამ სერია ა-ში იოლი გასვლითი გამარჯვება მოიპოვა, რაშიც ქართველ ფორვარდ თორნიკე შენგელიას დიდი წვლილი მიუძღვის. 27-ე ტურის მატჩში ბოლონიელები პესაროს ესტუმრნენ და კარპენას 96:77 მოუგეს.

თორნიკემ 19 წუთი ითამაშა, რა დროშიც 12 ქულას, 2 მოხსნასა და 3 პასს მოუყარა თავი. ქართველმა კალათბურთელმა 7-დან 4 ორქულიანი, ერთი სამქულიანი და ერთი საჯარიმო ჩააგდო. თორნიკეს გუნდიდან საუკეთესო მანიონი იყო, რომელმაც 18 ქულა მიითვალა.

შენგელიას გუნდისთვის ეს სეზონში 23-ე მოგება იყო. შენგელიას გუნდს 46 ქულა დაუგროვდა და მე-2 ადგილზე მყოფ მილანოს 4 ქულით უსწრებს. ბოლონია მომდევნო ტურში ტორტონას შეხვდება, მანამდე კი, ევროთასზე, ლიტკაბელისთან ითამაშებს.

სერბული ბორაცისა და საქართველოს ნაკრების წევრი, დუდა სანაძე ჩვეულ ფორმაში შედის. ადრიატიკის ლიგის მორიგ ტურში დუდამ 20-ქულიანი მატჩი ჩაატარა და სტუმრად საკმაოდ ძლიერი ოლიმპიას დამარცხებამდე ცოტა დააკლდა. დაძაბული ბრძოლა სლოვენიური კლუბის გამარჯვებით – 83:80 დასრულდა.

სანაძე სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 27:21 წუთში 20 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა, რაც სერბული კლუბის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

დუდამ 7-დან 4 ორქულიანი, 5-დან 3 სამქულიანი და 6-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 3 პერსონალური ფოლი მიიღო. ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 15-ს გაუტოლდა და ეს სტუმართა რიგებში მე-2 მაჩვენებელი იყო. სანაძეს მხოლოდ ამერიკელმა ჰანტერ ჰეილმა აჯობა, რომელმაც 18 ქულას 6 მოხსნა და 4 პასი წაამატა.

ბორაცს 8 მოგება და 16 მარცხი მოუგროვდა და ადრიატიკის ლიგაში მე-12 ადგილი უკავია, მომდევნო მატჩს კი, ტურნირის ერთ-ერთ ლიდერ ცრვენა ზვეზდასთან გამართავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

კლარა წიტაიშვილი: კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

თინა სორდია: კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 2. საშობაო სიმღერა; 3. გეომეტრიული ფიგურა; 4. „დნმ“-ის აღმომჩენი ამერიკელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 9. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 12. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 14. სასტუმრო თბილისში; 15. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 17. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 18. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

თარაზულად: 6. ღვარძლიანი, ბოროტი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 7. ყველაზე დიდი ჩანჩქერი აფრიკაში; 8. ფრანგული სამოდელო ფირმა; 10. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 11. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 13. ძველი ბერძნული ქალაქების გამაგრებული ნაწილი; 16. შეძლებული გლეხის სახელწოდება საბჭოთა კავშირში; 19. ადამიანი, რომელმაც უღალატა საკუთარ რწმენას; 20. ეპიდემიის საყოველთაო გავრცელება.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ვიში; 2. ახო; 3. მარასკინი; 4. პედრი; 5. პოლიცია; 8. შალე; 9. გიენოსი; 10. მუკუზანი; 12. ჯორჯია; 13. სიამი; 15. დაზგა.

თარაზულად: 1. ვაქცინა; 6. საგარეჯო; 7. შაშვი; 10. მზაღო; 11. კლონი; 13. სანდუ; 14. ბედია; 16. ჯიდა; 17. ინვაზია; 18. როკაპი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სადროშო; 2. კრახი; 3. სკანსენი; 4. შუშპარი; 5. გოლზუორთი; 9. გრიზლი; 12. მარშალი; 14. ლოზანა; 15. ზეტი; 17. თრუსო; 18. არია.

თარაზულად: 6. ტაბორი; 7. აკაპულკო; 8. არაუხო; 10. ტარტუ; 11. როსტომიანი; 13. კლაუზულა; 16. სალათი; 19. რადამესი; 20. ზაქათალა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0530

ევრო — 3.1930

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.9756

100 რუსული რუბლი — 3.8419

ამინდის პროგნოზი 20 აპრილისათვის

ანსუ ფატი სათამაშოდ მზად არის

ბარსელონას ახალგაზრდა ფორვარდი ანსუ ფატი სათამაშოდ მზად არის და ის უკვე შესაძლოა ბარსელონას შემდეგ შეხვედრაში მოედანზე ვიხილოთ, რეალ სოსიედადის წინააღმდეგ.

ბარსელონამ ბოლო ორი შეხვედრა წააგო და გუნდში აუცილებელია შემადგენლობის გადახალისება.

ანსუმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის მზად არის ახალი გამოწვევებისთვის.

მბაპემ პსჟ-დან წასვლაზე მინიშნება გააკეთა

პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ პსჟ-დან წასვლაზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ახალი გამოწვევები სჭირდება და, სავარაუდოდ, ეს მინიშნება იყო იმაზე, რომ უახლოეს მომავალში ის გუნდს დატოვებს.

გარდა ამისა, მბაპეს აზრით, რეალი არის სწორედ ის გუნდი, სადაც ის ბოლომდე შეძლებს თავისი პოტენციალის გამოყენებას.

ბენზემა: „ვგრძნობ, რომ ყველაფრის გაკეთება შემიძლია“

მადრიდის რეალის ფორვარდმა კარიმ ბენზემამ თავის კარგ თამაშზე ისაუბრა და თქვა, რომ ის შეეცდება კიდევ უფრო მეტი გაკეთოს რეალისთვის და კარგი ფორმა მაქსიმალურად დიდხანს შეინარჩუნოს:

– როდესაც მოედანზე გავდივარ, ვხვდები, რომ ჩემთვის შეუძლებელი არაფერია და ყოველთვის ვიცი, რომ იმის გაკეთებას შევძლებ, რისთვისაც ვარ მოედანზე. რეალი ყველა ტურნირში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძვის და ჩვენ ასეთი მენტალიტეტი გვაქვს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

კაცი ექიმს მიმართავს:

– ექიმო, ბოლო დროს ძეხვისგან სიამოვნებას ვეღარ ვღებულობ.

– მომიტევეთ და რას აკეთებთ?

– მაპატიეთ, მაგრამ ვჭამ...

●●●

მოსამართლე დაზარალებულს ეკითხება:

– დაზარალებულო, თუ იცნობთ იმ ადამიანს, რომელმაც თქვენი მანქანა გაიტაცა?

– ბატონო მოსამართლევ, მისი ადვოკატის სიტყვის შემდეგ საერთოდ ეჭვი შემეპარა, მყავდა თუ არა მანქანა.

●●●

ბავშვი დედას ეუბნება:

– დედიკო, და მინდა.

– მე წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მამაშენია წინააღმდეგი.

– მამა მივლინებაში რომ წავა, ჩვენც მაშინ მოვაგვაროთ.

●●●

დილით ცოლი ადგა, სარკესთან მივიდა, დიდხანს უყურა საკუთარ თავს, შემდეგ მძინარე მეუღლეს გადახედა და ჩაიბურტყუნა:

– ასეც მოგიხდება, მეტს არც იმსახურებ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ქალი და სექსი ისევეა, როგორც ჩინოსანი და ქრთამი.

– ეგ როგორ?

– როგორ და თავიდან: „ოჰ, რას ამბობთ, არა, არა!“ და შემდეგ: „რა ასე ცოტა?!“

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– სულაც არ ვარ მსუქანი!

– საიდან დაასკვენი?

– საიდან და გივიმ მითხრა, რომ იდეალური ფიგურა მაქვს.

– გოგო, გივი მათემატიკოსია და მისთვის იდეალური ფიგურა ბურთულაა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ოლეგ ბასილაშვილი: „ხალხს გულაგის გარეშეც უყვარს ბელადი“

აცხადებს მსახიობი ოლეგ ბასილაშვილი და რუსეთის მიერ უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებზე ავრცელებს წერილს: „საბჭოთა კავშირმა საშინელება ჩაიდინა“:

– როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირმა სხვა ბოროტებებთან ერთად ყველაზე დიდი ბოროტება ჩაიდინა – თავისი ისტორიის მანძილზე მან თითქმის გაანადგურა ყველა, ვისაც თავისუფლების იდეის აღქმა შეეძლო.

წინააღმდეგობის ბოლო ტალღა აღმოჩნდა ნოვოჩერკასკის აჯანყება ხრუშჩოვის დროს. როდესაც მოგვიანებით გაჩნდა თავისუფლების მოპოვების შანსი, ამ შანსის გამოყენება აღარავის შეეძლო.

თავისუფლებისკენ სწრაფვის სურვილი დარჩა უკრაინაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, საქართველოში, მაგრამ არა ჩვენთან და არა რუსებთან. ჩვენთან მოსახლეობის განათლების ხარისხი თამასაზე ბევრად ქვემოთაა.

ეს არანაირი შედარება არ არის სტალინის მმართველობის პერიოდთან. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სისტემას შეეძლო მოწინააღმდეგეებს გასწორებოდა, მის წინააღმდეგ მაინც იბრძოდნენ.

არსებობდა ხალხი, რომელსაც სძულდა სტალინი და, ზოგადად, საბჭოთა წყობა, ამიტომაც სისტემამ შექმნა გულაგი. ახლა გულაგი საჭირო არ არის. ამ ხალხს გულაგის გარეშეც უყვარს ბელადი.

საშინელებაა – მონობა ხელკეტის ქვეშ, მაგრამ უფრო დიდი საშინელებაა – მონობა ხელკეტის გარეშე, ნებაყოფლობითი მონობა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ნანა ფაჩუაშვილი დააჯილდოვეს

რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი ნანა ფაჩუაშვილი დააჯილდოვეს.

ჯილდო მან საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის მიიღო.

ინფორმაცია რუსთაველის თეატრმა გაავრცელა:

– რუსთაველის ეროვნული თეატრი ულოცავს მსახიობ ნანა ფაჩუაშვილს მიღებულ ჯილდოს, რომელიც გადაეცა საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისთვის, ეროვნული ბიზნესრეიტინგების საორგანიზაციო კომიტეტების ერთობლივი გადაწყვეტილებით და შვეიცარიის რეიტინგების ასოციაციის მხარდაჭერით.

„მგზავრები“ უკრაინის დასახმარებლად კონცერტს გამართავს

ჯგუფი „მგზავრები“ უკრაინის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტს გამართავს.

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრში ჯგუფი 11 მაისს შეკრებს მსმენელს და მათთან ერთად მოკრძალებულ წვლილს შეიტანს რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული უკრაინელებისთვის.

საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა სრულად გადაირიცხება ჰუმანიტარული და სამედიცინო თანადგომის ფონდში, რომელიც უკრაინას ეხმარება.

ეროვნული მუზეუმიდან ქეთო მაქარაშვილი გაათავისუფლეს

საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან ქეთო მაქარაშვილი გაათავისუფლეს. ქეთო „სირცხვილიას“ ერთ-ერთი წევრის, სამოქალაქო აქტივისტის გიგა მაქარაშვილის დაა.

ინფორმაცია სოციალური ქსელით გიგამ გაავრცელა:

– მოგვადგა... წულუკიანის რევპრესიები გრძელდება! რა გასაკვირია, რომ ჩემს დას დაურეკეს და უთხრეს, აღარ მუშაობ მუზეუმშიო.

არადა, საკუთარ საქმეზე ასე შეყვარებულ ადამიანს იშვიათად ნახავთ! მიზერულზე ბევრად ნაკლებ ხელფასად მომუშავე პროფესიონალებს სანთლით უნდა ეძებდეს სახელმწიფო, მაგრამ, სად გვაქვს სახელმწიფო რო?

გამოუშვეს ისე, რომ ეროვნული მუზეუმის დირექტორს არც კი გააგებინეს.

როცა თანამშრომელს იმიტომ ათავისუფლებ, რომ ოპონენტებზე დევნის სხვა ბერკეტი აღარ გაქვს – უტყუარი ნიშანია, დასასრული ახლოსაა!

ქეთო მაქარაშვილი აუცილებლად იპოვის ღირსეულ სამსახურს! აი მისი გამომგდები წულუკიანი კი აუცილებლად აგებს პასუხს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

აფრიკელმა ლომი შიშველი ხელებით მოკლა და შეჭამა

უგანდის ქალაქ იგანგას მკვიდრმა მამაკაცმა ლომი მოკლა, მისგან კერძი მოამზადა და შეჭამა.

ადგილობრივების მტკიცებით, მამაკაცი, რომლის სახელი ინკოგნიტოდ რჩება, შეებრძოლა მის სახლში შეჭრილ ლომს და მისი შიშველი ხელებით მოკვლა მოახერხა.

ტვიტერში გამოქვეყნებულ ფოტოზე ჩანს, რომ მამაკაცს შეხვეული აქვს ხელები, მკერდი და თავი, თუმცა მისი სახვევები ერთიანად სისხლითაა მოსვრილი. ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რა დაზიანებები მიიღო უგანდელმა, არ ვრცელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

20 აპრილისათვის

ვერძი – მრავალი პრობლემა დაგიგროვდათ. მათ დროულად მოგვარებას ნუ დააყოვნებთ. დაწყებული საქმე უთუოდ დღესვე დაამთავრეთ. **კურო** – სითამამე და გამბედაობა დღის დევიზია. იზრუნეთ სულიერ სრულყოფაზე. **ტყუპები** – პოზიტიური დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – ოჯახის წევრებთან მეტი დრო გაატარეთ. აქტიური დასვენება დღეს დადებით შედეგს გამოიღებს. **ლომი** – შემოქმედებით სფეროში იაქტიურეთ. ახალი მოკავშირეები სულიერი ჰარმონიის შექმნაში დაგეხმარებიან. **ქალწული** – ბედი გწყალობთ. ძალზე იღბლიანი დღეა. ნებისმიერ საქმეში წარმატებას ელოდეთ. **სასწორი** – თავს ბედნიერად და ლაღად გრძნობთ. ყოველი წვრილმანი სიხარულს განიჭებთ. **ღრიანკალი** – პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგად გაქვთ. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სპონტანურად ნუ მიიღებთ. **მშვილდოსანი** – ხვალინდელ დღეზე დღესვე იზრუნეთ. მომავალი თამამად დაგეგმეთ. ფინანსებს არ უჩივით. **თხის რქა** – სულიერი და ფიზიკური ძალები გემატებათ. სახლში დიდხანს ნუ დარჩებით. **მერწყული** – მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. საქმიან სფეროში ახალი შესაძლებლობები გამოგიჩნდებათ. **თევზები** – შანსი გეძლევათ, ხელსაყრელი გარიგება გააფორმოთ. ოპტიმიზმი და მელანქოლია ერთმანეთს ენაცვლება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვოსვოხდი ა



შვეულად: 1. ჯავახური პური; 2. ბარიტის საბადო რაჭაში; 3. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 4. ციხე-სიმაგრე გერმანიის ქალაქებში ძველად; 5. ფრანგული სამოდელო ფირმა; 8. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 9. ცირკის მასხარა; 10. პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რაიმეს წარმატებას; 12. ნიდერლანდების ფეხბურთელთა გუნდი; 13. მინერალური წყალი იმერეთში; 15. კრიმინალი ადამიანის, ხულიგნის, ბანდიტის საერთო სახელწოდება ძველად საფრანგეთში.

თარაზულად: 1. წყლის მზიდავი ძველ თბილისში; 6. ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 7. ოპერა „რიგოლეტოს“ პერსონაჟი; 10. ფრანგი მოდელიერი; 11. ფარისეველი, ფლიდი, გაიძვერა ადამიანი; 13. აფრიკული ცხოველი; 14. იტალიის პრემიერ-მინისტრი; 16. მოხალული ფქვილისგულიანი ნამცხვარი; 17. სამცხე-ჯავახეთის მმართველთა ტიტული; 18. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა